პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 152 ხუთშაბათი 5 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 152

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— საკონტრიბუციო საკითხის შესახებ მოკავშირეებს ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ საბოლოო დადგენილება.

— საფრანგეთი წინააღმდეგია, რომ საარის საკითხი გაირჩეს ერთა ლიგაში.

— ბულგარეთში აღმოაჩინეს გლეხთა შეთქმულება, რომელსაც მიზნად ჰქონდა ახალი მთავრობის დამხობა.

— ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მომავალშიც განაგრძობს კომუნისტებთან ბრძოლას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიკომებს და უჯრედებს, რომ 6 ივლისს

ერთიან პარტიული დღის

წეს-რიგი თვითონ შეიმუშაონ.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ რუბენი.

ცირკულიარულად

ქ. პ. ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

კამპანიამ წითელი საჰაერო ფლოტის შექმნის სასარგებლოდ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მთელი საბჭოთა ფედერაციის მუშათა მასებში.

ამიერ-კავკასიაში (თბილისში) მოეწყო „საჰაერო ფლოტის მეგობართა ამიერ-კავკასიის საზოგადოება“.

ძლიერი წითელი საჰაერო ფლოტის შექმნის იდეის უფრო მეტი პოპულიარიზაციის მიზნით და პროლეტარული საზოგადოებრივი ინიციატივის ჩასაბმელათ ამ საქმისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენაში—რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ნიშნავს ამიერ-კავკასიაში 15—21 ივლისამდი „საჰაერო ფლოტის დახმარების კვირას“.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ:

1. წინასწარ, კვირის დაწყებამდი, მოეწყოს „საჰაერო ფლოტის მეგობართა ამიერ-კავკასიის საზ-ბა“.

2. კვირის პირველ დღეს მოეწყოს საზეიმო სხდომები, სადაც განმარტებული უნდა იქნეს „კვირის“ და საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა, იქვე უნდა მოეწყოს პროფკავშირების, ჯარის ნაწილების, საბჭოთა დაწესებულებების და ცალკე მუშების ს. ფ. მ. ს. წევრათ ჩაწერა.

3. ადგილობრივ უნდა მოეწყოს პოპულიარული ლექციები და მოხსენებები საჰაერო ფლოტის და ს. ფ. მ. ს. როლის შესახებ.

4. უნდა მოეწყოს საფრენი აპარატების გამოფენა და ფასიანი ფრენა.

5. უნდა მოეწყოს კონცერტები, წარმოდგენები, ნებაყოფლობითი შემოწირულებათა შეკრება ს. ფ. მ. ს სასარგებლოდ.

კვირა უნდა ჩაატარონ პარტიულმა ორგანიზაციებმა საჰაერო ფლოტის ადგილობრივ კომისიების და ს. ფ. მ. ს. განყოფილებებთან შეთანხმებით.

პარტიულ და საბჭოთა პრესაში უნდა დაიხსნას „წითელი საჰაერო ფლოტის“ განყოფილება და ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული როგორც საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა, ისე კვირის მიმდინარეობა.

ვინაიდან შემდეგში („კვირის“ შემდეგ) საჰაერო ფლოტის შესაქმნელათ მთელი საგიტაციო მუშაობა თავმოყრილი უნდა იქნეს ს. ფ. მ. ამიერ-კავკასიის საზოგადოების განყოფილებებში, რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივ ს. ფ. მ. ს. განყოფილებებს და აღმოუჩინოთ მათ ყოველგვარი დახმარება მუშაობაში.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი მიხაილოვი.
საგ.-საპრ. განყ. გამგე: ხ. ტაკოევი.

აღსასრულის წინ

როგორც არა ერთხელ აღვინიშნავს, რღვევის პროცესი მენშევიკურ პარტიაში სულ უფრო და უფრო ფართოვდება და თავის ლოღიკურ დასასრულს უახლოვდება. ჩვენ ვიმყოფებით მენშევიკური პარტიის, მისი ორგანიზაციების სრული და საბოლოო მოსპობის წინ.

ადგილობრივ პრესაში აუარებელი განცხადებები იბეჭდება მენშევიკური პარტიიდან გასვლის შესახებ.

პროვინციებში ხდება ყოფილ მენშევიკების მთელი რიგი კონფერენციები.

როგორც თავიანთ განცხადებებში, ისე კრებებსა და კონფერენციებზე ამ პარტიის ყოფილ წევრებს გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი მენშევიკურ პარტიაზე და მათ ლიდერებზე; ისინი სამარცხვინო ბოძზე აკრავენ მათ მოღალატურ პოლიტიკას და მოქმედებას მუშათა კლასის მიმართ და სრული შეგნებით გადმოდიან კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

რა თქმა უნდა, ამ გარემოებას ვერ ურიგდებიან მენშევიკების „გენერლები“, მათი „ცეკა“. ძნელი მოსანელებელია მათთვის ის ფაქტი, რომ საქართველოს მშრომელ მასსაში ფეხიდან გამოეცალათ ყოველგვარი ნიადაგი, რომ თვით მათმა მიმდევრებმა, მუშებმა და გლეხებმა ზურგი შეაქციეს ამ ვაჟბატონებს, რომ ისინი დარჩნენ სრულიად გარიყულნი, „უმრევლოდ“ და „უჯაროდ“.

ეს გაკოტრებული და ავანტიურისტული შაიკა ერთი მუჭა მენშევიკური ზედა წრეებიც ეძებს „გამოსავალს“ მათთვის შექმნილ სავალალო და უხერხულ მდგომარეობიდან, ეძებს „ხელსაყრელ ახსნას“ მენშევიკური პარტიის დაშლის ასეთი გაუგონარი და სტიქიური პროცესის.

როგორც თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, მენშევიკების ცეკამ ასეთი „გამოსავალი“ და „ახსნა“ ჰპოვა იმაში, რომ მთელი ეს გრანდიოზული მოვლენა გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების ძალადობის შედეგად მენშევიკური პარტიის წევრებზე და მოღალატეებად მონათლა ისინი, ვინც კლასობრივად თვითგამოერკვა და ბოლომდე არ გაყვა მშრომელ მასების ინტერესების გამცემელ მენშევიკებს.

ამით ისინი ლამობდნენ მოეჩვენებიათ ვინმესთვის, რომ მუშათა კლასი უჭერს მათ მხარს, ამასთან ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მეორე მხრივ გაელენა მოეხდინათ ჯერ კიდევ გამორკვევის პროცესში მყოფ თავიანთ წინანდელ მიმდევრებზე და შეენარჩუნებიათ პარტიის ნამსხვრევები მაინც.

მაგრამ ფუჭი გამოდგა მათი ცდა და იმედი.

დღეს ნაკლებად მოიპოვება ისეთი გულუბრყვილო ვინმე, ვისაც კიდევ სჯერა მენშევიკების პროვოკაცია და ცილისწამება. ფაქტი მენშევიკური პარტიის დაშლისა და მისი ნამდვილი მიზეზები იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამ პარტიის დღეს კენტად დარჩენილი მეთაურები, რამდენიც არ უნდა ეცადონ, ვერავის დაარწმუნებენ თავის „ახსნის“ სიმართლეში და ვერც დაშლის პროცესს შეაჩერებენ.

პირიქით, მათმა ცილისწამებამ მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრებზე, თითქო ეს უკანასკნელნი რაღაც მუქარის და ძალის ქვეშ სტოვებდნენ მის რიგებს, პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა.

ყოფილი მენშევიკები მათი წინანდელი ლიდერების ასეთ უტიფარ ნაბიჯზე აძლევენ საკადრის პასუხს. დღესაც იბეჭდება ჩვენს გაზეთში ყოფილ მენშევიკ მუშების განცხადება.

ისინი სვამენ საკითხს, თუ ვინ არის მუშათა კლასის მოღალატე, თვითონ ისინი, თუ მათი ყოფილი ლიდერები.

მენშევიკური პარტიის პოლიტიკის და „საგმირო საქმეების“ მიუდგომელი განხილვა მათ არწმუნებს, რომ სწორედ მენშევიკების გაუსწორებელი მეთაურები არიან რევოლიუციის და მშრომელი მასსების გამცემნი. და ცხადია, რომ მათგან სრული შეგნებით და ნებაყოფლობით იმიჯნებიან მშრომელი ელემენტები და უბრუნდებიან მუშათა კლასის ოჯახს.

ამ პროცესს ვერ შეაჩერებს მენშევიკების უძლური გაბრაზებით აღსავსე მუქარა და მათი უარმყოფელების მონათვლა მოღალატეებათ. დიახ, მენშევიკების ყოფილმა წევრებმა, მუშებმა და გლეხებმა „უღალატეს“ მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიას და ჩადგნენ რევოლიუციის დამცველთა რიგებში.

სხვანაირად მათ არ შეეძლოთ მოქცეულიყვნენ. ეს გზა მათ უკარნახა საღმა კლასობრივმა ინსტინქტმა.

გამოფხიზლებული მენშევიკური მასსა მტკიცედ და ჩქარი ნაბიჯით მიდის ამ გზით.

დანგრეული მენშევიკური პარტიის დღეები დათვლილია. თვით ყოფილი მენშევიკები უთხრიან მას სამარეს, სადაც გადაუშვებენ ამ აყროლებულ ლეშს და მძიმე ლოდს დაადებენ თავზე, რათა მისი ჭაჭანი არ ისმოდეს და მისი დამპალი სუნი ჰაერს არ სწამლავდეს.

წითელ-არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისათვის

ზრუნვა მშრომელთა რესპუბლიკის დამცველ წითელ არმიაზე კვლავ შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების ერთ უმთავრეს ამოცანათაგანს.

თუმცა ჩვენ დღეს-დღეობით მშვიდობიან მდგომარეობაში ვიმყოფებით და არ მოგველის უშუალო საფრთხე იმპერიალისტური თავდასხმის, მაინც არ შეგვიძლია თავი სავსებით და საბოლოოდ უზრუნველყოფილად ჩავთვალოთ სხვა და სხვა „სიურპრიზებისაგან“, როგორც ეს დაგვანახა თუგინდ ამას წინედ ლორდ კერზონის მიერ საბჭოთა რესპუბლიკებზე მოქნეულმა მუშტმა.

ამიტომ, ვიმეორებთ, ჩვენ ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ წითელ-არმიის განმტკიცებას, რათა მან პირნათლად შესძლოს ქვეყნის დაცვის მოვალეობის შესრულება და წაართვას ყველა ჯურის კერზონებს ხალისი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებზე დამუქრების, მათზე თავდასხმის ცდის

და აქ პირველ რიგში დგას წითელი გმირების მატერიალური უზრუნველყოფა.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია. თუ წინედ, როცა ჩვენი რესპუბლიკა დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა, წითელი არმია ნახევრად მშიერი და ტიტველ-შიშველი იყო, დღეს, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებასთან ერთად, ის საკმაოდ უზრუნველყოფილია ნივთიერად, შედარებით მაძღარია და ჩაცმული.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამ მხრივ იდეალური მდგომარეობა იყოს, მაგრამ რაც არის, უეჭველად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამ მიმართულებით მუშაობა აწიც უნდა ვაწარმოოთ და, რესპუბლიკის რესურსების ზრდასთან ერთად, წითელი არმიის ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ.

მაგრამ წითელ არმიის მატერიალურ უზრუნველყოფის საკითხს აქვს მეორე მხარე. ჩვენ ვლაპარაკობთ წითელ არმიელთა უზრუნველყოფაზე მათ მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ, კერძოდ კი მათი ოჯახებისათვის დახმარების გაწევაზე.

რაც კარგად არ უნდა იყოს თვითონ წითელ არმიელი დაკმაყოფილებული, ის კარგად ვერ იგრძნობს თავს, თუ მისი ოჯახის წევრები, რომლების მარჩენალი ის იყო, გაჭირვებულ მდგომარეობაში ეგულება. ის ასეთ შემთხვევაში ერთი თვალით სახლისაკენ იცქირება, თავის ოჯახზე ფიქრობს და თავის პირდაპირ საქმეს გულმოდგინედ ვერ მოეკიდება.

ამიტომაც უზრუნველყოფა წითელ არმიელთა ოჯახების შეადგენს სახელმწიფოს ერთ მნიშვნელოვან საქმეს. მუშათა სახელმწიფო ვალდებულია შესაძლებელი დახმარება აღმოუჩინოს წითელ არმიელის ოჯახს, რომლის მარჩენალი ყაზარმებში იმყოფება, ან იარაღით ხელში იცავს რევოლიუციის მონაპოვართ, რის გამო მოცდენილია მუშაობას და არა აქვს საშუალება თვითონ თავისი შრომით გაუძღვეს თავის ოჯახს, დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებანი.

ეს ასეც ხდება. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ზომებს იღებს წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფისათვის.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ჩვენი ცაკის მიერ ამას წინედ გამოცემული დეკრეტი წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგიერთი მუხლი ამ დეკრეტისა. არმიიდან დემობილიზაციის წესით დაბრუნებული პირი ხელახლად მიიღებს იმ თანამდებობას, რომელიც მობილიზაციამდე ეჭირა, უკეთუ ეს თანამდებობა გაუქმებული არ არის. ამნაირად, წინედ ამა თუ იმ სამუშაოზე მყოფი წითელ არმიელი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ ქუჩაში არ დარჩება და უმუშევართა ბედს არ იგემებს.

წითელ არმიელს, რომელიც არმიაში შესვლამდე სასოფლო მეურნეობას ეწეოდა, შეენახება მიწის სრული ნორმა და ამგვარად მას კვლავ მიეცემა საშუალება დაუბრუნდეს სასოფლო მეურნეობას.

წითელ არმიელს და მის ოჯახს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების დროს, ეძლევა მთელი რიგი შეღავათები. ის სრულიად თავისუფლდება გადასახად საგან პირველი ორი დესეტინისათვის, ხოლო დანარჩენი დესეტინისათვის გაიღებს გადასახადის მხოლოდ ნახევარს.

ასეთივე შეღავათი ეძლევათ სამოქალაქო ომის ინვალიდთა ოჯახებს და ტყვეობაში მყოფ წითელ არმიელთა ოჯახებს.

წითელ არმიელის ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრებს, რომლებსაც ის არჩენდა, ეძლევა ყოველთვიური ფულადი დახმარება მნიშვნელოვანი რაოდენობით.

გარდა ამისა, სამხედრო ვალდებული და მობილიზაციით გაწვეულ წითელ არმიელის ოჯახს უფლება ეძლევა—მისი მიწები დამუშავებულ იქნას საზოგადოების საშუალებით და აგრეთვე ეძლევა უფლება უპირატესი დაკმაყოფილების საქარხნო-სამრეწველო მრეწველობის პროდუქტებით, რაც სოფელს გადაეცემა ხოლმე.

წითელ არმიელის სიკვდილის ან მისი დასახიჩრების შემთხვევაში მისი ოჯახი ან თვითონ დასახიჩრებული უზრუნველყოფილი იქნება.

ასეთია შინაარსი აღნიშნულ დეკრეტის. ის ჩვენ ასე ვრცლად მოვიყვანეთ, რადგან მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

წითელ არმიელი დამშვიდებული უნდა იყოს, რომ მაზე და მის ოჯახზე მუდამ ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება, აფასებს მის ღვაწლს მშრომელთა და რევოლიუციის წინაშე და არ მოაკლებს უხვი დახმარების ხელს.

დარწმუნებული ამაში, ჩვენი წითელ არმიელი სრული შეგნებით და ხალისით იხდის თავის სამხედრო მოვალეობას მუშურ გლეხურ სახელმწიფოს წინაშე და ფხიზლად დგას მის საზღვრების სადარაჯოზე.

სათანადო ორგანოების მხრით დიდი მუშაობაა საჭირო ამ დეკრეტის მიხედვით წითელ არმიელთა და მათი ოჯახების დახმარების საქმის რიგიანათ მოწყობისათვის.

დახმარება ამაზე უფლების მქონეთ უნდა მიეცეს თავის დროზე და ისე, რომ ამისათვის მათ არ დასჭირდეთ დავიდარაბა და სადმე უქმი სიარული. აქ საქმის გაჭიანურებას და „კანცელიარშჩინას“ ადგილი არ უნდა ექნეს.

ამხ. ა. მარტინოვი

(მის ტფილისში ჩამოსვლის გამო)

გუშინწინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა ა. მარტინოვი.

ეს პიროვნება ნაცნობია ყველასათვის, ვინც მონაწილეობდა ყოფილ რუსეთის იმპერიის სივრცეზე რევოლიუციონურ მოძრაობაში ან თვალყურს ადევნებდა მას. ლ. მარტოვთან ერთად ის იყო მენშევიზმის მთავარი მედროშე, იდეოლოგი, პუბლიცისტი. სწორედ 20 წლის უკან გაირღვა ორ ნაწილათ რუსეთის სოც. დემოკრატ. მუშათა პარტია—ბოლშევიზმი დაუპირდაპირდა მენშევიზმს. 1905 და 1917 რევოლიუციების ალში და ქექაქუხილში მოხდა პრაქტიკული შეფასება ორივე მიმდინარეობის. ჭეშმარიტი გამოდგა ჩვენი დიაგნოზი: მენშევიზმი წვრილ ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელია მუშათა მასსებში.

ოქტომბრის გრიგალმა სავსებით გაამჟღავნა მენშევიზმის შინაგანი ბუნება და ის პროლეტარულ ბრძოლის ბარიკადის იქით გადისროლა.

სინამდვილის ალღო ხშირათ მასსებში უფრო ადვილათ ისადგურებს, ვიდრე წინამძღოლ ლიდერებში. მენშევიკური მასსები სულ მალე გაერკვიენ რევოლიუციის ამოცანებში, ლიდერები კი ზოგი საბოლოოთ დაბრმავებული აღმოჩნდენ, ზოგი ერთგვარი ჯიუტობით შეპყრობილი და ზოგიც განზე გადგომის მოსურნე.

უკანასკნელთ ეკუთვნოდა ა. მარტინოვი. ოთხი წლის განმავლობაში ის განზე გამდგარი იყო, ოქტომბრის რევოლიუციას არც ეომებოდა, არც მხარს უჭერდა, ის დაკვირვებას აწარმოებდა. მარქსიზმის მიმდევარისათვის ნამდვილი ტრაგედიაა ასეთი ყოფა, ვინაიდან მარქსიზმი მოქმედების, ბრძოლის ფილოსოფია და ალგებრაა.

მაგრამ, ბოლოს მარქსიზმმა საბოლოოთ გაიმარჯვა ა. მარტინოვში და მით ბოლო მოეღო მის ტრაგედიას. საბოლოოთ თვითგამორკვეული მარქსისტი მარტინოვი ხდება კომუნისტათ, ვინაიდან მარქსისტი და კომუნისტი სინონიმებია. ამიერიდან ა. მარტინოვი ამხანაგი და თანამებრძოლია ჩვენი, ამიერიდან ის მოზიარეა კომპარტიის გამარჯვება-დამარცხების, ამიერიდან ის საბჭოთა რევოლიუციის ერთ-ერთი დამცველია.

მისი აღსარება იბეჭდება ჟურნალ „Красная Новь“ის ნომერში. პირველი მისი წერილის თარგმანი მოთავსებული იყო ჩვენს გაზეთში. მაგრამ რა დიდმნიშვნელოვანი იქნებოდა, რა ნაყოფიერი შკოლა იქნებოდა მის აღსარების პირადათ მოსმენა ყველა იმ მშრომელთათვის, რომლებიც დღემდე ყოყმანობენ და ვერ გადაუწყვეტიათ გადაჭრით თავის ალაგის დაკავება მშრომელთა რევოლიუციონურ რიგებში!

მან.

ჩვენი ფინანსები

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 4 ივლისი. გაზ. „პრავდა“, ამხ. სოკოლნიკოვის მიერ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიაზე გაკეთებულ მოხსენების გამო, მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა უმჯობესდება: „ჩვენ ავიღეთ გეზი მტკიცე ვალიუტისაკენ. სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასკომის სესიას წინადადება მიეცა მიიღოს კანონმდებლობითი დადგენილება ფინანსთა სახ. კომისარიატის საემისიო უფლების შეზღუდვის შესახებ. ასეთ გადაწყვეტილებას ექნება უდიდესი პრაქტიკული და პრინციპიალური მნიშვნელობა. მტკიცე ვალიუტისაკენ მიმართული გეზი არის მახლობელ წელიწად ნახევრის პრაქტიკული ამოცანა. შემდეგ წელში ჩვენ გვექნება ასე თუ ისე მტკიცე ვალიუტა, თუ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა იმავე ტემპით წავა, როგორც დღემდის. არა მარტო საზღვარ-გარეთ, არამედ ჩვენშიც, რუსეთში დიდი დაცინვა განიცადა საბჭოთა მანეთმა. მაგრამ უკანასკნელ წელში გარდატეხა თვალსაჩინო გახდება, თუ შევადარებთ ჩვენ ვალიუტას გერმანიის და პოლონეთის ვალიუტასთან. გერმანული მარკა წლის განმავლობაში დაეცა (გაუგებარია) პოლონეთის მარკა ისევე გამალებით ეცემოდა, ხოლო ჩვენი მანეთი დაეცა სულ 24-ჯერ (გამოტოვებულია). თუ ჩვენ მოვახერხეთ მომავალი ბიუჯეტის შეკოწიწება, შემდეგი წლის ბოლოში ჩვენ გვექნება შედარებით მტკიცე ვალიუტა“.

მენშევიკური პარტიის დაშლა გრძელდება

ტრამვაის მუშებისაგან

ჩვენ, ტრამვაის მუშები, რომელ-იც გამოვედით მენშევიკების პარტიიდან, განვიხილეთ რა მენშევიკების ცეკას რეზოლიუცია პარტიის გახრწნის შესახებ, ვაცხადებთ:

1. ჩვენ გაბედულად უარვყოფთ მენშევიკების ცეკას ცდას ახსნას ჩვენი გამოსვლა, როგორც ძალდატანება ხელისუფლების მხრივ ჩვენ, რომელთაც გვიმუშავია პარტიაში ათეული წლობით, ვიცით, რომ ვერავითარი ხელისუფლება, ვერავითარი რეპრესიები ვერ აიძულებენ პარტიისადმი ერთგულ მუშებს ათასობით დასტოვონ ეს პარტია.

2. ჩვენ სრულიად შეგნებულად, მივეცით რა ჩვენ თავს სრული ანგარიში და ავსწონ-დავსწონეთ რა თვითეული ნაბიჯი, გამოვედით მენშევიკურ რიგებიდან, ვინაიდან ჩვენ თვალწინ ჩვენი წინამძღოლები მიემხრენ ბურჟუაზიის კაპიტალს.

3. ვინ გვიწოდებს ჩვენ მოღალატეებს? ისინი, ვინც ორი წლის განმავლობაში საზღვარ-გარეთის ფულებით სცდილობდენ ჩაეხრჩოთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

ისინი, ვინც ორგანიზაციულად შეუკავშირდენ პარიტეტულ კომიტეტში აზნაურებს, თავადებს, მღვდლებს და კულაკებს.

ისინი, ვინც აწყობდენ შეიარაღებულ აჯანყებას და რომელთაც კავშირი ჰქონდათ საქართველოს ბანდიტურ ბრბოებთან.

ჩვენ მუშათა კლასის მოღალატენი კი არა, არამედ შეგნებული პროლეტარები ვართ, და გავსწყვიტეთ კავშირი მენშევიკურ წინამძღოლებთან, რომელთაც უღალატეს პროლეტარიატს.

4. ჩვენ მრავალ წლების განმავლობაში გვეუბნებოდენ, რომ საჭირო ბურჟუაზიასთან შეთანხმება, რომ მუშათა კლასმა არ უნდა აიღოს თავის ხელში ძალაუფლება, რომ მხოლოდ დემოკრატია მიაღწევს სოციალიზმს.

საქართველოში მენშევიკების 3 წლის ბატონობის პრაქტიკით გავეცანით ასეთ დემოკრატიას. ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ბატონობა, ეროვნული შუღლი, სახალხო მეურნეობის დანგრევა, საქართველოს მუშათა ჩამოშორება რევოლიუციონურ რუსეთის პროლეტარიატისაგან და დემოკრატიულ საქართველოს გადაქცევა კაპიტალის და პროლეტარულ რევოლიუციის შორის დაწყებულ ბრძოლის ცენტრად,—აი როგორია შედეგები მენშევიკური დემოკრატიის.

5. ჩვენ დარწმუნებული ვართ ეხლა, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით შეიძლება მივაღწიოთ მშრომელთა განთავისუფლებას სოციალიზმს. ის, ვინც საბჭოთა ხელისუფლების მტერია—იგი მტერია რევოლიუციის, მოღალატეა პროლეტარიატის და მოსამსახურე კაპიტალის.

6. გერმანიის და სხვა ქვეყნების მაგალითზე ჩვენ დავრწმუნდით, რომ პროლეტარიატს გაუძნელდება ბურჟუაზიის დამარცხება იქ, სადაც ძლიერი იყო სოციალ-დემოკრატია. მენშევიკებმა ყოველ ნაბიჯზე დაამტკიცეს თავისი ერთგულება კაპიტალისადმი და გამცემლობა მუშებისადმი. 2 ინტერნაციონალი გახდა მხოლოდ ბურჟუაზიის საიმედო რეზერვი.

ეხლა ყოველი შეგნებული მუშისათვის ცხადია, რომ მხოლოდ მე-3 კომინტერნი არის პროლეტარიატის ერთგული დარაჯი.

7. ჩვენ გვიწოდეს აგრეთვე მენშევიკების ცეკას რეზოლიუციაში მერყევი ელემენტი და ზედმეტი ბალასტი.

ჩვენ, ტრამვაის ძველი მუშები, პარტიის ძველი წევრები, რომელთაც ვიმუშავეთ იქ ათეული წლები, რომელთაც შევადგენდით მენშევიკების მთავარი მუშური გული, ზიზღით ვსტოვებთ უყურადღებოთ ამგვარ დაფასებას და უპასუხებთ მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს.

თუ ჩვენ ზედმეტი ბარგი ვართ მენშევიკების პარტიისათვის, ვიმედოვნებთ, რომ გავხდეთ არა უკანასკნელები მუშათა მოძრაობის ავანგარდში.

8. მუშები და გლეხები, რა თქმა უნდა, ზედმეტი ბარგია მათთვის, ვინც თავისი ბედ-იღბალი ბურჟუაზიას და კაპიტალს დაუკავშირა.

რათა საბოლოვოთ განვათავისუფლოთ მენშევიკური პარტია მუშურ-გლეხურ ბარგისაგან, დღეს ჩვენ ვირჩევთ საინიციატივო ბიუროს, რომელსაც ვავალებთ სხვა წარმოებათა მუშებთან ერთად მოიწვიონ ყოფილ მენშევიკების კონფერენცია.

ჩვენ მივმართავთ ყველა მუშებს და მშრომელებს დროზე მოვიდენ გონს და დასტოვონ პარტია, რომლის ყვითელი დროშებით სარგებლობს ბურჟუაზია მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

მელითონეებისაგან

ჩვენ, მუშა-მელითონეები, რომელნიც საბჭოთა სპილენძის ჩამომსხმელ ქარხანაში ვმუშაობთ, დავრწმუნდით რა იმაში, რომ მენშევიკების პარტიამ უღალატა მუშათა კლასს, გადავიდა ბურჟუაზიის ბანაკში და წარმოადგენს კაპიტალის ბრმა იარაღს, ვაცხადებთ მენშევიკური პარტიიდან ჩვენი გამოსვლის შესახებ.

ჩვენ წავიკითხეთ მენშევიკების ცეკას რეზოლიუცია, სადაც მოღალატეებს უწოდებენ იმათ, ვინც მენშევიკური პარტიიდან გამოდის და ამით არღვევს პარტიას. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ვტოვებთ რა გამყიდველ პარტიას, ჩვენ არა თუ ვღალატობთ რევოლიუციას და ჩვენს კლასს, არამედ, პირიქით, ჩვენ პროლეტარიატის ავანგარდის რიგებში ვდგებით. ვწყვეტთ რა ყოველგვარ კავშირს მენშევიკურ ტაქტიკასთან, ჩვენ ვწყვეტთ კავშირს ბურჟუაზიასთან და კაპიტალთან, რომელიც მთელი ქვეყნიერების მასშტაბით უტევს მუშათა კლასს.

მენშევიკების ცეკას მუქარა ვერ შეაშინებს ვერც ერთ ერთ შეგნებულ მუშას, რომელიც დარწმუნდა იმაში, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება და მისი სულის ჩამდგმელი კომუნისტური პარტია სდგას რევოლიუციისა და მუშათა კლასის ინტერესების სადარაჯოზე.

1.	აბაშიძე ბესარიონ	1905 წ.
2.	სუსლიკოვი პაველ	1917 „
3.	კლიმოვი თედორე	1917 „
4.	ჯორჯენარია ანდრია	1917 „
5.	კულაკი ვასილ	1917 „
6.	კოვანოვი გიორგი	1917 „
7.	აბაშიძე სიმონ	1905 „
8.	კარპუხოვი ივანე	1917 „
9.	მაიერი ფრიდრიხ	1917 „
10.	მურადოვი არტემ	1901 „
11.	ციმაკურიძე მიხეილ	1917 „

ქალ. თბილისი,
4 ივლისი 1923 წ.

მანგლისის მცხოვრებ ყოფ. მენშევიკებისაგან

ჩვენ, ქვემოთ ჩამოთვლილი მოქალაქეები, მანგლისის რაიონის მცხოვრებლები, რომლებიც ვმსახურობდით წინად ვითომდა სახალხო გვარდიაში და ეხლა არ ვითვლებით პარტიაში, ვაკვირდებით ჭეშმარიტ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და ვრწმუნდებით, რომ მენშევიკები ემყარებოდენ და მტკიცდებოდენ არა შეგნებაზე, არამედ ჩვენს შეუგნებლობაზე და სიბნელეზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის აღმშენებლობამ, შეგნების შუქმა ბოლოს და ბოლოს გაჰფანტა ჩვენი სიბნელე და ჩვენ ნამდვილმა მუშებმა და გლეხებმა, დასასრულ, შევიგნეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ერთად ერთი დამცველი მთელი მსოფლიო პროლეტარიატის არის წითელი არმია და პროლეტარიატის ჭეშმარიტი ხელისუფლება, ეს არის მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლება და ამიტომ ჩვენ ვკიცხავთ პროლეტარიატის იმ მოღალატეებს, რომლებიც წინად ემყარებოდენ ჩვენს შეუგნებლობაზე და საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ, გლეხებმა გამოვიღვიძეთ, შევიგნეთ ჩვენი დამცველი საბჭოთა ხელისუფლება და ეხლა ფიცსა ვსდებთ, რომ საჭიროების დროს საქმით დავამტკიცებთ ამას არა შეუგნებლად, როგორც მენშევიკების დროს, არამედ როგორც მძიმე ძილისაგან გამოღვიძებული ისეთივე მოქალაქეები, როგორიც არიან ჩვენი ამხანაგები—კომუნისტები.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერლებმა, დავადგინეთ გამოვაქვეყნოდ ეს რეზოლიუცია გაზეთში.

1. გულივერდოვი ივ. გლეხ. სტ. 13 წ.
2. გულივერდოვი ალ. „ „ „
3. ბეჟუაშვილი სანდრო „ „ 17 წ.
4. მანველიძე მიხეილი „ „ „
5. მეჩიტაშვილი ალექსი „ „ „
6. მარკელოვი მიხეილი მუშა „ 18 წ.
7. აფციაური მიხ. გლეხი არა 17 წ.
8. კანდელაკი აბრამი „ სტ. 18 წ.
9. რაქიმოვი აკოპი გვარდიელი.
10. მჭედლიძე ლული გლ. სტ. 17 წ.
11. ტაკტაკოვი ნიკ. „ „ 20 წ.
12. შაქიშვილი ვანო „ „ 19 წ.
13. წიკლაური ალექსი „ „ 18 წ.
14. მუჯირიშვილი შაქრო აზნ. 17 წ.
15. ივანოვი გაბ. გლეხი სტ. 18 წ.
16. ახალკაცი ვანო გვარდიელი.
17. ლოლაძე პეტრე „ 19 წ.
18. ლონდარიძე ილია მეღუქნე 19 წ.
19. აფციაური მიხ. გლეხის სტ.
20. მაჩაიძე მიხა „ „ 20 წ.
21. ნადირაძე ვანო „ „ 19 წ.
22. აფციაური ნიკოლ. „ „ 17 წ.
23. ნიკერაშვილი დ. „ „ 17 წ.
24. ჩივაძე გაბრიელ „ „ 17 წ.
25. ბადალაშვილი ბარ. „ „ 18 წ.
26. ქავთარაძე ლუკა „ „ 17 წ.
27. წიკლაური სიმონ „ „ 18 წ.
28. წიკლაური იოსები „ „ 18 წ.
29. წიკლაური ილია „ „ 18 წ.
30. წიკლაური თომა „ „ 18 წ.
31. ქავთარაძე კოტე „ „ 18 წ.
32. მჭედლიძე გაბრ. „ „ 18 წ.
33. მუჯირიშვილი ვასო ყოფ. გვარდ.
34. გოგიჩაიშვილი ვანო „
35. ჩუმბაძე შაქრო „
36. ზაქაიძე სიმონ „
37. ახალკაცი გიგო „ „
38. ცხვიტაძე ნიკო „ „
39. თვალიაშვილი ა. „ „
40. ბერიაშვილი ვ. „ „
41. ზაქარიაძე ვ. „ „
42. შუბლაძე გევო „ „
43. ლოშკაროვი ლ. „ „
44. იაროვი ერვანდი მოსამს. სტ. 20 წ.
45. დემეტრაშვილი გ. ყოფ. გვარდ.
46. აფციაური პეტრე „ „
47. ერასტოვი ელმანი „ „
48. ბეჟაური პავლე „ „

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესია

ჩვენი ფინანსები.

მოსკოვი. 3 ივლისი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიის დღევანდელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. სოკოლნიკოვმა. მოხსენებაში ამხ. სოკოლნიკოვმა აღნიშნა: მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რომელიც შეადგენს 1.400 მილიონ ოქროს მანეთს, 1.060 მილიონი ხმარდება სახელმწიფოს აპარატის შენახვას, თავდაცვას, კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და სხვა ჩვეულებრივ ხარჯებს, 350 მილ. მანეთი დაფარავს ტრანსპორტის, მრეწველობის დეფიციტს და მოხმარდება სასოფლო მეურნეობის აღდგენას. პირველ კატეგორიის ხარჯებს დაფარავს ფულის და ნატურალური გადასახადები და სახელმწიფოებრივი წარმოებათა მოგება, მეორე კატეგორია არის დეფიციტი, რომელიც უნდა დაიფაროს ფულის ნიშნების გამოშვებით.

მორიგ ამოცანად ითვლება მრეწველობის და ტრანსპორტის დეფიციტის შემცირება. მთელ რიგ წლების განმავლობაში კიდევ საჭირო იქნება მრეწველობისათვის და ტრანსპორტისათვის ფინანსიურ დახმარების გაწევა სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე. ამიტომ ემისიის შემცირება უნდა უქნას დამოკიდებული მრეწველობის და ტრანსპორტის ბიუჯეტის შემცირებაზე. რკინის გზების დეფიციტის ლიკვიდაცია განზრახულია 1924 წლის დასაწყისში. მრეწველობის კაპიტალური აღდგენის ხარჯები მომავალ წელში აღარ განმეორდება, საკრედიტო ოპერაციების განვითარება გაანთავისუფლებს სახელ. ბიუჯეტს, დამატებით ემისიისაგან, რომელიც ხმარდებოდა მრეწველობის და ტრანსპორტის საჭიროებებს, დღეს ეს დარგები გადადიან ფინანსიური დახმარების საკრედიტო ფორმებზე.

ემისია საგრძნობლად უნდა შემცირდეს.

ფინანსთა სახ. კომისარი ფიქრობს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს განუსაზღვრელ ემისიასო. 1 აგვისტოდან დაწყებული ემისია უნდა იქნას დაყვანილი 15 მილ. ოქროს მანეთამდე თვეში, ამ წინადადების მიღებას ის მნიშვნელობა ექნება, რომ ჩვენ სერიოზულად გადავსწყვიტეთ ბოლო მოვუღოთ ფულის სისტემის ნგრევას და მუდმივ ფინანსიურ კრიზისებს.

ამხ. სოკოლნიკოვის აზრით, თუ ომიანობა და შიმშილობა არ იქნება 1—1 ნახევარი წლის განმავლობაში შეიძლება თავის დაღწევა ფინანსიურ კრიზისისაგან და მიახლოვება ფულის სტაბილიზაციასთან. ამხ. სოკოლნიკოვი წინადადებას აძლევს სესიას, რათა უკანასკნელმა მისცეს ფინანსთა სახ. კომისარიატს, გადაჭრილი დირექტივები, რაც შეიძლება მიზანშეწონილად განაწილებულ იქნეს ფინანს. საშუალებანი.

საგადასახადო პოლიტიკა.

ეხება რა საგადასახადო პოლიტიკას, ამხ. სოკოლნიკოვი საგადასახადო სისტემას დასრულებულად სთვლის. ბოროტი ამოცანაა—ნაჩქარევად შემუშავებულ საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება. სოფლად სასოფლო-სამეურნეო გადასახადების გაერთიანებისდაგვარად, ქალაქებშიაც უნდა გაერთიანდეს ყველა გადასახადები ერთიან ქონებითი კვალობით გადასახადში. გადასახადების განაკვეთი მტკიცე უნდა იყოს. ახალ გადასახადების შემოღების შესახებ, მცხოვრებნი წინასწარ უნდა იქნენ გაფრთხილებული.

ამხ. სოკოლნიკოვი ეხება ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ მიღებულ ზომებს ვალიუტის გასაჯანსაღებლად, როგორიც არის ბანკნოტების-ჩერვონცების გამოშვება. შემდეგი ამოცანაა ჩერვონცებსა და უცხოეთის ვალიუტის შორის, მტკიცე შეფარდების დამყარება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ამოცანის განხორციელება შესაძლებელია. საბჭოთა ფულის ნიშნები შეინარჩუნებენ მნიშვნელობას, სანამ არსებობს ბიუჯეტში დეფიციტი.

ამხ. სოკოლნიკოვი მოუწოდებს სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასკომის სესიას, ემისიის შეზღუდვისაკენ, რათა ამით დაანახვოს რუსეთის და უცხოეთის მტკიცე გადაწყვეტილება ფინანსიურ მეურნეობის რეორგანიზაციის შესახებ და ამით ხანგრძლივათ უზრუნველყოს პირველ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს კეთილდღეობა.

ამხ. ვლადიმიროვის დამატება.

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენების შემდეგ 1923—24 წ. წ. საორიენტაციო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვლადიმიროვი, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ბიუჯეტის პერსპექტივები სასურველია მიმდინარე წელს. მიღწეული იქნება დეფიციტის შემცირება და შემოსავლის გადიდება. შემოსავლის ერთ-ერთ უდიდეს წყაროთ უნდა ჩაითვალოს რენტას დაბეგვრა. არც ერთი მტკაველი მიწა, რომელიც საგუბერნიო აღმასკომის განკარგულებაში იმყოფება არავის არ შეიძლება მიეცეს უსასყიდლოთ.

კ ა მ ა თ ი.

კამათის დროს ამხ. ლარინი დაჟინებით მოითხოვდა გადასახადის გატარებას მხოლოდ და მხოლოდ სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასკომის საშუალებით, და აგრეთვე მოითხოვდა ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ ბიუჯეტის ც. ა. კ.-ში განსახილველად თავის დროზე შემოტანას.

კონსტიტუციის მიღება.

სესიის იმავე სხდომაზე მიღებულ იქნა კანონ-პროექტი საკავშირო კონსტიტუციის შესახებ.

ტიხონის მოწოდება

მოსკოვი. 3 ივლისი. ტიხონმა მიმართა სამღვდელოებას და მრევლს ვრცელი განცხადებით. თავის დანაშაულში ის ბრალს სდებს იმ საზოგადოებას, რომელშიც მას, როგორც ეკლესიის მეთაურს, მუდამ აქეზებდა აქტიურ გამოსვლებზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ტიხონი აცხადებს რომ გარდატეხა მასაში დიდი ხანია მზადდებოდა. როდესაც საზღვარგარეთული საეკლესიო სამართველო წინააღმდეგი იყო რუსეთის დელეგატების დაშვების გენუას კონფერენციაზე, მან გააუქმა ეს სამართველო. მოწოდებაში გამოთქმულია დაცინვა „განახლების მომხრეების“ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების შესახებ და ნათქვამია, რომ ისინი ეძებენ მხოლოდ სარგებელს, წოდებას და ჯილდოს და ითხოვენ მათ მოწინააღმდეგეების, უწოდებენ რა თავის თავს რაღაც არხიპრესვიტერებს. ტიხონი ამბობს, რომ ის ხედავს ეხლა, თუ რა ჭორებს და ცილისწამებასავრცელებდენ შინაური და გარეშე მტრები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

რადიო-დეპეშები

საკონტრიბუციო საკითხი

რა სურს საფრანგეთს.

ბერლინი. 4 ივლისი. ბრიუსელის კათოლიკური გაზეთი „ვენტიემ სკკლი“ სწერს: „მაშინ, როდესაც ევროპის რუკაზე რეინის სახელმწიფოები ნაჩვენები იქნებიან საფრანგეთის ბატონობის ქვეშ, ბელგია გახდება ეკონომიური მონა უკანასკნელის. ეხლა, როდესაც წყდება ამ სახელმწიფოების ბედი, ბელგიამ ეს პერსპექტივა სახეში უნდა იქონიოს“.

ახალი სანქციები.

ბერლინი. 4 ივნისი. რეინლანდიის მოკავშირეთა კომისიის ფრანგმა და ბელგიელმა წევრებმა დაადგინეს გადაასახლონ ამ ახლო მომავალში 9,000 რკინის-გზელი მათივე ოჯახობით. ფრანგები განაგრძობენ სანქციების შეწყრას, ითვისებენ აუარებელ თანხებს ბანკებიდან, მოქმედებენ მშვიდობიანი მცხოვრებლების წინააღმდეგ ზარბაზნებით, რის გამოც მსხვერპლის რიცხვი იზრდება.

საიდუმლო მოლაპარაკება.

ლონდონი. 4 ივლისი. გუშინ ლონდონში გარეშე საქმეთა სამინისტროში გაიმართა თათბირი საკონტრიბუციო და რურის საკითხების გარშემო. თათბირს დაესწრენ საფრანგეთის და ბელგიის ელჩები. მოლაპარაკების შედეგების შესახებ ბრიტანეთის წყაროებიდან ჯერ არავითარი ცნობები არ მოსულა.

ლონდონი. 4 ივლისი. გაზ. „დეილი მეილის“ დიპლომატიური კორესპონდენტი ამბობს, რომ ლონდონში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა ინახულა დღეს გარეშე საქმეთა სამინისტრო, სადაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ლორდ კერზონთან. არავითარი ცნობა ამ მოლაპარაკების შესახებ გამოქვეყნებული არ არის; ფიქრობენ, რომ ეს მოლაპარაკება ეხებოდა კონტრიბუციის და რურის საკითხს.

იმავე ადგილზე.

ლონდონი. 4 ივლისი. საფრანგეთის სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ საფრანგეთის მთავრობა ცდილობს დაარწმუნოს ბრიტანეთის კაბინეტი თავის პოზიციის გულწრფელობაში რურის, კონტრიბუციის და ევროპის ეკონომიურ აღდგენის საკითხის განხილვის დროს.

როგორც იუწყებიან ლონდონში მყოფ საფრანგეთის საელჩოდან, თუმცა ელჩმა სენტ-ოლერმა მიიღო პარიზიდან წერილობითი ინსტრუქციები, ჯერ-ჯერობით მაინც არ გადაუცია ბრიტანეთის კაბინეტისათვის წერილობითი ნოტა. საელჩოს ცნობით, სენტ-ოლერს განზრახული აქვს თავდაპირველად მოელაპარაკოს კერზონს. ფიქრობენ, რომ არც ბელგიის ელჩს არ უთქვამს ჯერ თავისი მთავრობის უკანასკნელი სიტყვა და ელოდება კერზონთან წინასწარ სიტყვიერ მოლაპარაკებას. ინგლისის და საფრანგეთის გაერთიანებული მოქმედების შესაძლებლობის საუკეთესო დამამტკიცებელია დღევანდელი თათბირი და ის ფაქტი, რომ ამ თათბირს მოჰყვება ახალი მოლაპარაკება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებს შორის უთანხმოება ჯერ კიდევ შორს არის, და რომ ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი დაჟინებით მოითხოვს გაჭიანურებულ კონფლიქტის გადაწყვეტას რურისა და საკონტრიბუციო საკითხში.

ლონდონის და პარიზის გაზეთებიდან.

ბერლინი. 4 ივლისი. ლონდონის კონსერვატიული გაზეთები ესალმებიან ორშაბათს გამოქვეყნებულ მთავრობის ცნობას, რომელშიაც ხედავენ საფრანგეთ-ბრიტანეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას. ლიბერალურ გაზეთებს პირიქით არ სჯერათ, რომ დაბრკოლება გადალახულია. გაზ. „ტაიმსი“ ამბობს: საღ გონიერებას მოკლებული საფრანგეთის პოლიტიკა გამოიწვევს მოვალეს განადგურებას; ინგლისმა უნდა იცოდეს—სურს თუ არა საფრანგეთს ითანამშრომლოს მასთან ევროპის აღდგენის საკითხში.

პარიზი. 2 ივლისი. საფრანგეთის პრესა გამოსთქვამს იმედს, რომ საფრანგეთ-ბრიტანეთის მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდება. „ჟურნალ დე დება“ სწერს: „საფრანგეთ-ბრიტანეთის მოლაპარაკების სასურველად დასრულების მთავარი პირობაა ბრიტანეთის მთავრობის მიერ პასიური წინააღმდეგობის დაგმობა, რომელიც არსებითად აჯანყებას უდრის.“ „ტანი“ ამბობს: „გერმანიისათვის გადახდის უნარიანობის მდგომარეობის შექმნა—აი რა არის მისაღწევი პირველ რიგში“.

საფრანგეთის ამბები

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია.

პარიზი. 2 ივლისი. შესდგა საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციის სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ფაშიზმთან ბრძოლისათვის, ყველა პროლეტარულ ძალების გაერთიანების შესახებ. სხდომაზე დაესწრენ სოციალისტური პარტიის წევრები მორანი, ობერი და რუჟე, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან გადასცენ კომუნისტების წინადადება მათ პარტიას განსახილველად.

ურთიერთობა რუსეთთან.

პარიზი. 2 ივლისი. დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, კომუნისტმა ბერტონმა შეეკითხა პუანკარეს, რუსეთთან ურთიერთობის განახლების შესახებ. პუანკარემ უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იცნობს მისი წინაპრების ვალებს.

საფრანგეთის კომპარტიის დეკლარაცია.

პარიზი. 2 ივლისი. საფრანგეთის კომპარტიის პროფკავშირების კომისიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც გარკვეულია კომუნისტების ვალდებულება სინდიკატების მიმართ. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ კომუნისტები პატივს სცემენ პროფკავშირების ავტონომიას, ცდილობენ პროფკავშირების გაერთიანებას და ავრცელებენ პროფესიონალური მოძრაობის იდეებს კომუნისტებსა და ჩამორჩენილ მუშებს შორის.

ინგლისი და საფრანგეთი

პრესის გამოძახილი.

ლონდონი. 2 ივლისი. მთელი ინგლისის პრესა იხილავს სარეპარაციო საკითხის გამო შექმნილ მდგომარეობას.

„მანჩესტერ გარდიანი“ ინგლისის მთავრობის მიერ საფრანგეთისათვის გაგზავნილ შეკითხვას, თვლის მნიშვნელოვან დიპლომატიურ აქტად. გაზეთი აღნიშნავს, რომ თუ საფრანგეთი უარს იტყვის წერილობითი პასუხის მიცემაზე, ან არადამაკმაყოფილებელ პასუხს მისცემს, ინგლისის მთავრობა დაუყოვნებლივ გადადგამს სეპარატიულ ნაბიჯს.

„ტაიმსი“ სწერს, რომ ფრანგები პასუხს აგვიანებენ დროს მოგების მიზნით. საფრანგეთის მთავრობას ეშინია, რომ საბოლოო პასუხი დააჩქარებს კონფლიქტს ინგლისთან. გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულება ძლიერ გართულდა.

„დეილი ტელეგრაფი“: ფრანგები ფიქრობენ, რომ ინგლისის და საფრანგეთის თვალსაზრისით, წერილობით ჩამოყალიბება დაუყოვნებლივ კონფლიქტს გამოიწვევს. ინგლისის აზრით ეს კონფლიქტი („მკვდარი წერტილი“) უკვე არის. გორდიის კვანძი დაჩქარებით უნდა გადაიჭრას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპას კატასტროფა მოელის“.

მუსოლინის მოხსენება საგარეო მდგომარეობის შესახებ

„შემარიგებელი“ როლი.

რომი. 4 ივლისი. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მუსოლინიმ გააკეთა მოხსენება საგარეო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში მუსოლინმა ხაზი გაუსვა იმ შემარიგებელ როლს, რომელიც ითამაშა იტალიამ მცირე ანტანტის მიმართ ბულგარეთში მომხდარი გადატრიალების დროს, რის წყალობითაც შესაძლებელი გახდა მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილება.

რურის კვანძი.

მდგომარეობა რურში, მიუხედავათ იმისა, რომ კონფლიქტში ჩაერია ვატიკანი, რთულდება და უარესდება. ბელგიის კაბინეტის კრიზისის დასრულების შემდეგ, მოლაპარაკება განახლდა. იტალია მიიღებს მონაწილეობას მოლაპარაკებაში. იტალია არ დაკმაყოფილდება იმ წინადადებებით, რომელსაც შეიცავს ბრიტანეთის მთავრობის მემორანდუმი და თავის მხრივ წამოაყენებს ახალ წინადადებებს, რომლებიც მოკლეთ შემდეგში მდგომარეობენ: სარეპარაციო საკითხის განხილვა მოკავშირეთა ვალების საკითხთან დაკავშირებით; გერმანიისთვის დამაკმაყოფილებელი მორატორიუმის მიცემა; სარეპარაციო გადასახადების ნამდვილი და საბოლოო ჯამის გამორკვევა და გადახდის ვადების რაციონალურად განაწილება; გერმანიის მიერ გარანტიების მიცემა; საფრანგეთის მიერ რურის ოკუპაციაზე ხელის აღება. მუსოლინიმ ხაზი გაუსვა იმ დებულებას, რომ ყველა ამ საკითხებში მოკავშირეებმა უნდა მიაღწიონ სრულ შეთანხმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპას დიდი კრიზისი მოელის.

რისი იმედი არ უნდა ჰქონდეს გერმანიას.

იტალიის მთავრობის აზრით, პასიური წინააღმდეგობის გაგრძელება არავითარ სარგებლობას არ მოუტანს გერმანიას, რადგან ფუჭი ოცნებაა, თითქო გერმანია თავისი პოლიტიკით დაღალავს საფრანგეთს ან მიიღებს დახმარებას გარედან.

ყოველ შემთხვევაში რურის საკითხი დაჩქარებით უნდა გადაიჭრას, რადგან ამ კონფლიქტით შექმნილი გართულებული მდგომარეობა აბრკოლებს ევროპის ეკონომიურად აღდგენას. პუანკარეს მიერ სენატში წარმოთქმულმა სიტყვამ უფრო გააძლიერა ნაციონალისტური სულისკვეთება, შეურიგებლობის პოზიცია და უფრო გააძნელა საკითხის გადაჭრა

იტალიის დიპლომატია „ცდილობს“.

იტალიის დიპლომატია ცდილობს მიაღწიოს შეთანხმებას საფრანგეთთან და ინგლისთან მუსოლინის მიერ წარსული წლის დეკემბერში ლონდონში წარდგენილი მემორანდუმის საფუძველზე.

საფრანგეთის დათანხმება ძნელი იქნება.

საფრანგეთის დათანხმება რურის ევაკუაციაზე ძნელი იქნება, რადგან საფრანგეთის მთავრობა არასოდეს არ მოისურვებს აღიაროს თავისი შეცდომა და ამ რიგად იცნოს თავი დამარცხებულად გერმანიასთან კონფლიქტში.

მუსოლინს მაინც აქვს იმედი, რომ შეთანხმება რურის საკითხში იქნება მიღწეული საფრანგეთის პრესტიჟის შეულახავად. ევროპის პრემიერების მორიგ ამოცანას შეადგენს საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა; თუ ეს საკითხი არ იქნა გადაჭრილი მოკლე დროში, ევროპას ქაოსი მოელის.

საფრანგეთის პრესის აზრი.

რომი. 4 ივლისი. მუსოლინის დეკლარაციამ იმედები გაუცრუა საფრანგეთის საელჩოს რომში. საელჩო ფიქრობდა, რომ იტალიის აზრი საკონტრიბუციო საკითხის შესახებ, თუმცა დამოუკიდებელი იქნება, როგორც ეს აღნიშნა მუსოლინიმ ლონდონის კონფერენციაზე, მაგრამ უფრო ახლო იქნებოდა საფრანგეთის აზრთან, ვიდრე ინგლისის მთავრობის პოზიციასთან. გერმანიის საელჩოში ოპტიმისტური სულიერი განწყობილებაა, რადგან ამას წინედ გერმანიის ელჩს აგრძნობინეს, რომ იტალიის მთავრობა, რომელმაც მიიღო ცნობები საფრანგეთის მიერ გერმანელების მიმართ მიღებული რეპრესიული ზომების შესახებ, აღარ უჭერს მხარს საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკას.

ერთა ლიგაში

საფრანგეთი წინააღმდეგია.

ბერლინი. 3 ივლისი. ეყრდნობა რა იმ გარემოებას, რომ ევროპისა და ამერიკის ინტერესები საარის რაიონში ერთნაირია, საფრანგეთის მთავრობა წინააღმდეგია, რომ საარის საკითხი გაირჩეს ნაციათა ლიგის საბჭოში, როგორც ამას მოითხოვს ლორდი რობერტ სესილი.

საკითხი მაინც გაირჩევა.

ბერლინი. 4 ივლისი. ნაციათა ლიგის საბჭო აცხადებს, რომ საარის ოლქის საკითხი გაირჩევა საბჭოს ღია სხდომაზე.

ლოზანას კონფერენცია

ანგორის ინსტრუქციები.

ბერლინი. 4 ივლისი. როგორც ანგორიდან იტყობინებიან, ქემალ-ფაშას კაბინეტმა გაცხარებული კამათის შემდეგ დეპეშით აცნობა ისმეტ-ფაშას ლოზანაში, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუთმოს საფრანგეთს მოთხოვნილებებში და მოითხოვოს დაჟინებით სტამბოლის ევაკუაცია.

მოკავშირეების პასუხი.

პარიზი. 4 ივლისი. ისმეტ-ფაშის ნოტის საპასუხოდ მოკავშირეები ირწმუნებიან ოსმალეთის მიმართ მათი დამოკიდებულების უცვლელობაში და ხაზ გასმით აღნიშნავენ, რომ სადავო საკითხების გადაჭრის შეუძლებლობა გამომდინარეობს ოსმალეთის დელეგაციის მიერ მიღებულ ინსტრუქციებიდან.

მოკავშირეები დანიშნავენ სადავო წარმომადგენლებს საკითხების განხილვის დღეს თავიანთ მთავრობებიდან ინსტრუქციების მიღების შემდეგ.

შორეული აღმოსავლეთი

ბრძოლა თეთრგვარდიელებთან.

ჩიტა. 1 ივლისი. წითელმა ჯარმა დაიჭირა აიანის ნავთსადგური და ხელთ ჩაიგდო 357 ტყვე, გენერალ პეპელიაევის ბრბოდან. ტყვეები გენერალ პეპელიაევთან ერთად ვლადივოსტოკში მოიყვანეს.

მონანიებული მენშევიკები.

ბლაგოვეშჩენსკი. 1 ივლისი. ესერების და მენშევიკების პარტიის წევრები თითქმის მუდამ დღე ათავსებენ წერილებს გაზ. „ამურსკ-პრავდა“-ში, პარტიიდან გამოსვლის შესახებ და თან მოუწოდებენ კომუნისტური პარტიის გარშემო შეკავშირებას.

სხვადასხვა ამბები

რუსეთი და სამხრეთ-სლავია.

ვენა. 2 ივლისი. გაზეთები „პოლიტიკა“ და „ტრიბუნა“, რომლებიც ახლო დგანან სამხრეთ-სლავიის მთავრობის წრეებთან, სწერენ, რომ ახლო ხანში დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და სამხრეთ სლავიას შორის აღდგენილი იქნება.

რუსეთის გემების გაყიდვის გარშემო.

ნიუ-იორკი. 2 ივლისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ადმირალი სტარკი, რომელიც მანილიაში იმყოფება, ცდილობს გაყიდოს რუსეთის გემები. საბჭოთა მთავრობის იურისკონსულტმა მიიღო ზომები, გემების გაყიდვისათვის ხელის შესაშლელათ.

პროფესორ პავლოვის გაძარცვა ამერიკაში.

მოსკოვი. 2 ივლისი. პროფესორი პავლოვი, რომელიც მოგზაურობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაძარცულ იქნა ბანდიტების მიერ, რომელთაც წაართვეს მას 2.000 დოლარი—მთელი მისი ქონება. პავლოვმა განაცხადა სურვილი რუსეთში დაბრუნების შესახებ, ამერიკელი მეცნიერნი ურჩევენ პავლოვს დარჩეს შეერთებულ შტატებში და პირდებიან დანაკარგის ანაზღაურებას.

გერმანია

შვეიცარიის ბოიკოტის გარშემო.

ბერლინი. 2 ივლისი. გაზეთმა „ბერლინერ ტაგებლატ“-მა გამოაქვეყნა შვეიცარიის რუსეთთან ვაჭრობის ციფრები და სასტიკად გაილაშქრა შვეიცარიის საკავშირო საბჭოს წინააღმდეგ, რომლისთვისაც, გაზეთის აზრით, სულ ერთია როგორ ზარალს მოუტანს შვეიცარიის მუშებს საბჭოთა რუსეთის ბოიკოტი.

გაფიცვა.

ბერლინი. 2 ივლისი. გაერთიანებული ლითონის მუშების წარმომადგენლების კონფერენციაზე, არჩეულია კომისია გაფიცვის სახელმძღვანელოდ. მიუხედავათ იმისა, რომ რეფერენდუმის დროს მუშების 9 მეათ. მოითხოვდა გაფიცვას, გაფიცვა ჯერ არ გამოუცხადებიათ.

კომუნისტების ბავშვების დემონსტრაცია.

ბერლინი. 2 ივლისი. 1-ლ ივლისს დამთავრდა ბავშვთა დახმარების საერთაშორისო კვირა. ამ დღეს ბერლინში გაიმართა კომუნისტ მუშების ბავშვების დემონსტრაცია. პოლიციას მიეცა ბრძანება ყოფილიყო მზად. შეტაკება არ მომხდარა. დემონსტრაციები, გარდა „უნდერ დენ ლინდენისა“, გაიმართა სხვა რაიონებშიც.

ინგლისი.

სამუშაო ხელფასის შემცირება.

ლონდონი. 2 ივლისი. ინგლისის სარკინისგზო კომპანიებმა განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ შეამცირონ სამუშაო ხელფასი ყველა კატეგორიის მუშებისათვის, ამავე დროს შემცირება განსაკუთრებით შეეხება მემანქანეებს და ცეცხლის შემკეთებლებს.

რკინის გზელების ნაციონალური კავშირის კონფერენციაზე, ტომასმა განაცხადა, რომ დღის წესრიგში სდგას საკითხი რკინისგზელების შტატების შემცირების შესახებ.

რკინისგზელების სახელოსნოების მუშათა კავშირის ხელმძღვანელები, მოითხოვდენ დათანხმებას სამუშაო ხელფასის შემცირებაზე, მაგრამ კენტის ყრამ საწინააღმდეგო შედეგები მოიტანა. ტომასმა მწუხარება გამოსთქვა, რომ იწყება მოლაპარაკება (გამოტოვებულია): „ჩვენ გვაქვს, განაცხადა ტომასმა, საუკეთესო აპარატი მოლაპარაკების საწარმოებლად, გაფიცვით დამუქრება უფრო გააუარესებს მდგომარეობას.

ლატვია.

ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

რიგა. 2 ივლისი. ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბირზნეკმა საუბარში განაცხადა, რომ სამინისტრო, როგორც წინედ, ისე მომავალშიც განაგრძობს ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ.

ინდოეთი.

გაფიცვები.

თეირანი. 2 ივლისი. ოფიციალური ცნობების მიხედვით, უკანასკნელი წლის განმავლობაში ინდოეთის ბენგალიის პროვინციაში, იყო 99 გაფიცვა 165.000 მუშის მონაწილეობით; გაფიცვების 44 პროც. მუშების გამარჯვებით გათავდა.

ბულგარეთი.

შეთქმულება.

ბერლინი. 4 ივლისი. როგორც გაზ. „კორიერა დელა სერას“ კორესპონდენტი იუწყება, პლევნაში აღმოაჩინეს გლეხების შეთქმულება. შეთქმულების მიზანი იყო ბულგარეთის ახლანდელი მთავრობის დამხობა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

მილოცვა ამხ. ლენინს.

მოსკოვი. ამხ. ლენინმა ა. წ. 25 ივნისს შემდეგი დეპეშა მიიღო ნიუ-იორკიდან საბჭოთა რუსეთის დამხმარე საზოგადოების 2-რე ყრილობისაგან: „საბჭოთა რუსეთის დამხმარე საზოგადოების მეორე ყრილობის დელეგატები, რომელნიც შეერთებულ შტატებისა და კანადის ყველა კუთხეებიდან არიან ჩამოსული, მოგესალმებათ თქვენ, ამხანაგო ვლადიმერ ილიას ძევ, და ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს თქვენი ავადმყოფობის გამო; იმედი გვაქვს, რომ კვლავ გიხილავთ თქვენ, ძვირფასო მასწავლებელო, სრულიად ჯანმრთელს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სათავეში.

რუსეთის სატყეო მასალა საზღვარგარეთ

ოდესა. 3 ივლ. სატყეო მასალის ექსპორტის მთავარმა სამმართველომ გაგზავნა მარსელში 1,500 ტონი კლიოპკა. ეს, საფრანგეთში რუსეთის სატყეო მასალის გაგზავნის პირველი შემთხვევაა ომის შემდეგ.

ახლო მომავალში ოდესაში მოვა ინგლისის გემი 2,000 ტონის სატყეო მასალის დასატვირთავად.

გადასახადების აკრეფა

მოსკოვი. 3 ივლ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობების თანახმად, მაისის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში შემოვიდა გადასახადის სახით სულ 17 მილ. ოქროს მან. ე. ი. 16 პროც. მეტი, ვიდრე აპრილში.

საზღვაო მიმოსვლა ვლადივოსტოკთან

მოსკოვი. 3 ივლისი. განზრახულია საზღვაო რეისების განახლება შავი ზღვის ნავთსადგურებსა და ვლადივოსტოკს შორის.

მოხალისე საჰაერო ფლოტი აწყობს საჰაერო მიმოსვლას მოსკოვ-ვლადივოსტოკს შორის.

ტყის სიმდიდრენი

მოსკოვი. 3 ივლ. ტყის სიმდიდრეთა აღდგენის მიზნით, ტყის სამმართველომ შეიმუშავა პროექტი, ტყის მეურნეობაში მსხვილი კაპიტალის ჩაბმის შესახებ, უმთავრესად ჩრდილოეთით მდებარე ტყეების საექსპლოატაციოთ.

პურის სესხი

ეკატერინბურგი. 3 ივლ. ეკატერინბურგის გუბერნიაში გაყიდულია პურის სესხის ობლიგაციები 300,000 ფუთის, პერმის გუბერნიაში 200,000 ფუთის.

უკრაინა.

ტარას შევჩენკოს ძეგლი

კიევი. 2 ივლ. 1 ივლისს კანოვეში ზეიმით გაიხსნა ძეგლი ტარას შევჩენკოს საფლავზე. ზეიმს დაესწრენ სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომისა და მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს რომ, თუმცა უკრაინის ბურჟუაზიასა და პეტლიურას მიმდევრებს თავისი თავი მიაჩნდათ უკრაინის ეროვნულ ინტერესების დამცველად, მაგრამ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება ასრულებს პირველად შევჩენკოს იდეალებს უკრაინის განთავისუფლების საქმეში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უკრაინელ-გალიციელის სიტყვამ, რომელმაც განაცხადა, რომ ძეგლის გახსნაში ის ხედავს გალიციის 4 მილიონ დაჩაგრულ უკრაინელების განთავისუფლების ემბლემას.

სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის სესია.

ხარკოვი. 3 ივლისი. სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის სესიის მეორე სხდომაზე, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამგემ ვოლკოვმა მოხსენება გააკეთა მოსავალის პერსპექტივების შესახებ. მომხსენებელის სიტყვით ნათესების მდგომარეობა უკრაინაში დამაკმაყოფილებელია. ანეულები კარგებია 90 პროც.-ით, გაზაფხულის ნათესები კი დამაკმაყოფილებელია. მთელ უკრაინაში დათესილია 1.800.000 დესეტინით მეტი შარშანდელ წელთან შედარებით, პურის ვაჭრობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კუზნეცოვი, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინის წლევანდელი წლის საერთო მოსავალი ვარაუდით უდრის 810 მილიონ ფუთს, რომელთაგან შინაური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩება ზედმეტი 70 მილ. ფუთი. მომხსენებელმა აღნიშნა უკრაინის კოოპერაციის შესამჩნევი გამტკიცება, რომელსაც ადგილებზე 5000 უჯრედი ჰყავს.

ტიხონი მონანიების გარშემო.

ვარშავა. 1 ივლისი. ტიხონის განცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის წრეებში. გაზეთები ამას გრძელ წერილებს უძღვნიან და სიტყვა-სიტყვით ბეჭდავენ მოსკოვის გაზეთების მასალებს. „კურიერ პოლსკი“ ტიხონის ნაბიჯს ხსნის იმ გარემოებით, რომ ტიხონი საბოლოოდ დარწმუნდა ძველი რუსეთის დამარცხებაში.

პროფინტერნში

პროფინტერნის მომხრეების მუშაობა ინგლისში.

პროფინტერნის მომხრეები ინგლისში, პროფინტერნის ბრიტანეთის ბიუროს ხელმძღვანელობით აწარმოებენ ამ ჟამად ენერგიულ მუშაობას, ინგლისის პროფკავშირების დასაპყრობად.

ბრიტანეთის ბიუროს საერთო დირექტივით, ყოველგან ტარდება ენერგიული კამპანია პროფკავშირთა ადგილობრივ საბჭოების გამოსაცოცხლებლად, მათი უფლება-ვალდებულებების გასაფართოებლად, მათ შემადგენლობაში კომუნისტების ან უპარტიოების შესაყვანად.

ამა წლის დასაწყისში, ბრიტანეთის ბიურომ წამოაყენა სრულიად-ბრიტანეთის მუშათა ყრილობის მოწვევის ლოზუნგი. ბრიტანეთის ბიუროს მიერ წამოყენებულმა იდეიამ მუშათა ყრილობის მოწვევისთვის დიდი პოპულიარობა მოიპოვა ინგლისის მუშათა პროფკავშირებში. ბრიტანეთის ბიურო ინგლისის მუშათა პარტიასთან ერთად აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას ომის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთთან.

ამას გარდა, ბრიტანეთის ბიურო ეწევა აგრეთვე ინტენსიურ მუშაობას ცალკე კავშირებს შორის.

მელითონეები. ბრიტანეთის ბიურომ წამოაყენა ბრძოლის შემდეგი მიზნები მელითონეთა კავშირის მემარცხენე ფრთისათვის: 1) სამუშაო ხელფასის მინიმუმის დაწესება კვირაში 4 გირ. სტერლინგის რაოდენობით; 2) ხელშეკრულება ნაციონალურ მასშტაბით; 3) 44 საათის სამუშაო კვირა; 4) სისტემატიურად ზედმეტი სამუშაოს მოსპობა, რომელიც შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში; 5) კავშირის თავისუფლება; 6) დახმარება ყველა პოლიტიკურ კამპანიებისათვის ამ მოთხოვნილების განსახორციელებლად კანონმდებლობითი მიზნით; 7) ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შექმნა ყველა წარმოებებში.

რკინის გზელები. ინგლისის მსხვილმა სარკინისგზო კომპანიებმა დაიწყეს ამ ბოლო დროს ბრძოლა რკინისგზელების სამუშაო ხელფასის შემცირებისათვის იმ საბაბით, რომ ეს აუცილებელია რკინისგზის ტარიფების შესამუშავებლად.

რკინისგზელებს აქვთ 3 დიდი საკავშირო გაერთიანება: რკინისგზელების ნაციონალური კავშირი, მემანქანეების და ცეცხლის შემკეთებლების კავშირი და კანტორის მუშათა კავშირი. ეს კავშირები, რომელთაც ხელმძღვანელობენ რეფორმისტები, არაფერს არ აკეთებენ კაპიტალისტებთან ბრძოლისათვის მზადების მხრივ.

პროფინტერნის მომხრეები აწარმოებენ ბრძოლას შემდეგი მოთხოვნილებებისათვის:

5 დღიანი სამუშაო კვირა, 12 საათის დასვენება, სამუშაო ხელფასის მინიმუმის დაწესება, 2 კვირის შვებულება. იბრძვიან აგრეთვე ინგლისის ყველა რკინისგზელების ერთიან საწარმოო კავშირის შექმნისათვის.

სამთო-მადნო მუშები. სამთო-მადნო მუშებს შორის ოპოზიციონურ მოძრაობას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს.

ბრიტანეთის სამთო-მადნო მუშების ფედერაციამ შესძლო სამუშაო ხელფასის მინიმუმის დაწესება, 44 საათის სამუშაო კვირის შემოღება მიწის ქვეშ მომუშავეთათვის და სამუშაო ხელფასის გადიდება.

პროფინტერნის მომხრეების—მემარცხენე ფრთის მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო სამხრეთ-უელსში.

პროფინტერნის მომხრეები სამთო-მადნო მუშებს შორის აყენებენ შემდეგ მოთხოვნილებებს: 1) ეხლანდელი კოლექტიური ხელშეკრულების გაუქმებას, 2) 6 საათის სამუშაო დღის შემოღებას, 3) მორიგეობითი მუშაობის მოსპობას, 4) სამადნო კომიტეტების, მებრძოლ მოქმედების ორგანოებად ქცევას, 5) ბრიტანეთის სამთო-მადნო მუშების ფედერაციის რეორგანიზაციას, წარმოებით საფუძველზე.

უცხოეთის ცხოვრება

ინგლისის იმპერიალიზმის ბაზა წყნარ ოკეანეში.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი“ ეხება ბრიტანეთის სამხედრო გემების სამმართველოს პროექტს სინგაპურში საზღვაო ბაზის მოწყობის შესახებ და ამბობს, რომ „სინგაპური ცნობილია როგორც ბრიტანეთის იმპერიის საზღვაო თავდაცვის ჯაჭვის ერთერთი მნიშვნელოვანი რგოლი და მის ირგვლივ შემოიკრიბება მომავალში ბრიტანეთის ინტერესებისა და წყნარ ოკეანეში მისი პრესტიჟის დაცვის მთელი პრობლემა. ეს ბაზა აუცილებელია ბრიტანეთის ფლოტის თავისუფლად მიმოსვლისათვის. სინგაპურის განვითარებით აშორებული იქნებიან ის დაბრკოლებები, რომელნიც აღმოცენდენ თანამედროვე გემების მოქმედების რაიონის გაფართოებასთან დაკავშირებით. ნახშირის სათბობი მასალის ნავთის შეცვლამ ჩვენს წინ დააყენა ახალი ამოცანა და სამხედრო გემების სამმართველო შეუდგა საწყობის გაფართოებას აღმოსავლეთის გზაზე მალტაში, ადენში, ცეილონში, რანგუნში და სინგაპურში. თუ სინგაპური არ იქნება მოწყობილი საზღვაო ბაზად, მაშინ ბრიტანეთის ფლოტი სამუდამოდ მოწყვეტილი იქნება წყნარ ოკეანეს და ვერავითარი საშუალებით ვერ შესძლებს საზღვაო ძალების კოოპერაციას. ჩვენი იდეალია ოკეანეს ფლოტი, რომელიც იმპერიის ყველა ცალკე ნაწილების გემებისაგან შესდგება, მათი ძალებისა და მოთხოვნილებების პროპორციის მიხედვით“.

სეპარატიზმი სამხრეთ-სლავიაში.

ბერლინი. „დეიჩე ცეიტუნგი“ სწერს: „რაც უფრო მწიფდება სამხრეთ სლავიის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მით უფრო აშკარა ხდება სხვა და სხვა მოდგმის ხალხების ცალკე სეპარატიული მიდრეკილებანი. კროატები კროატებად რჩებიან და გამსჭვალული არიან რევოლიუციონური იდეებით და სპეკულიაციას ეწევიან, რასაკვირველია, ეგრედ წოდებულ დასავლეთის დიდ დემოკრატიებზე. სერბიელებიც, ასევე, სერბიელებად სთვლიან თავის თავს ისინი თავის დინასტიას ცენტრად და მამოძრავებელ ძალად სთვლიან სერბია-კროატია-სლავენიის სახელმწიფოსათვის. სლავენცებს მაინცა და მაინც ანგარიშს არ უწევენ არც ზაგრებში და არც ბელგრადში. მიუხედავად ამისა, ათავებს გაზეთი, სამხრეთ-სლავია მაინც არ არის ნაკლები ევროპის სხვა ახალ სახელმწიფოებზე და გერმანული თვალსაზრისით მას უფრო მეტი სიცოცხლის უნარი აქვს. საჭიროა მასთან პოლიტიკური და ეკონომიური შეთანხმების დადება“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

პროლეტარული სოლიდარობა.

ბათუმი. 2 ივლისი. წყლის სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა თავისი ჯამაგირის ერთი ნაწილი ერთდროულად გადასდეს გაფიცულ გერმანელ მეზღვაურთა სასარგებლოდ. ბათომში ჩამოსულ გერმანელ მეზღვაურთა პატივსაცემად გაიმართა წარმოდგენა.

ნავთსადგურში.

ბათუმი. 2 ივლისი. მარსელიდან მოვიდა გემი „ფრინი“ პაკეს საზოგადოებისა.

ახალი სახალხო მამული.

ბათუმი. 2 ივლისი. ცენტრმა აჭარისტანის მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში გადასცა სალიბაურისა და კაპრიმუშის მამულები, ზომით დაახლოვებით 150 დესეტინა, რომელთა შორის 100 დესეტინა უჭირავს ჩაის პლანტაციას.

აფხაზეთი.

ელექტროფიკაცია.

სოხუმი. 2 ივლისი. აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაიწყოს გამოკვლევა სოხუმის რაიონში ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებად. ელექტროფიკაცია მინდობილი აქვს მთავარ კომუნალურ მეურნეობის სამმართველოს.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

სოხუმი. 2 ივლისი. ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღაროების საექსპლოატაციოთ, რომელსაც საერთო ფედერატიული მნიშვნელობა აქვს, ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ოჩემჩირეში მოაწყოს ქვა-ნახშირის პორტი.

აზერბეიჯანი

სურახანის ხანძარი.

ბაქო. 3 ივლისი. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს უფროსმა სერებროვსკიმ მოსკოვიდან თავისი მოადგილის სახელობაზე შემდეგი დეპეშა გამოგზავნა: „სურახანაში მომხდარი ხანძარის ამბავი ამხ. სტალინს მოჰხსენდა, რომელმაც მთხოვა გადმოგცეთ მისი სალამი ამხანაგების მიმართ, რომელთაც ერთხელ კიდევ გადაარჩინეს სამრეწველო განსაცდელისაგან“.

ახალი თურქული ანბანი.

ბაქო. 3 ივნისი. ახალი თურქული ანბანის შემოღების გამო ბაქოს სახალხო განათლების განყოფილებამ წინადადება მისცა თურქული სკოლის ყველა მასწავლებლებს და აგრეთვე დანარჩენ სკოლების თურქული ენის მასწავლებლებსაც, რათა საფუძვლიანად შეისწავლონ ეს ანბანი მომავალ სამოსწავლო წლის დაწყებამდე.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 3 ივლისი. ივნისის 28—29 ყველა ნავთის სამრეწველოებზე ამოუღიათ 1,132,000 ფუთი ნავთი. გადასაქაჩავებლად მიშვებულია 862,000 ფუთ. საქაჩავიდან მიღებულა 852,000 ფუთი, დაწმენდილია 173,000 ფუთი. ბურღვა სწარმოებდა 163 ჭაზე, ჩაბურღულია 221 საჟენი.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქო. 3 ივლისი. ბაზრობის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა მოხდა, ბაზრობის დამთავრებასთან დაკავშირებულ საკითხთა გასარჩევად. განხილულ იქნა სპარსეთის ვაჭართა შუამდგომლობა, რომ ბაზრობა 20 ივლისამდე გაგრძელდეს. პრეზიდიუმმა დაადგინა, ბაზრობა ოფიციალურად დაიკეტოს 5 ივლისს იმ პირობით, რომ ბაზრობაში მონაწილე პირთ უფლება ჰქონდეთ კიდევ 5 დღის განმავლობაში განაგრძონ შეთანხმებათა წარმოება. ვადის გაგრძელება გამოიწვია იმ მოსაზრებამ, რომ ზოგიერთ სპარსელ ვაჭრის საქონელი გვიან მოვიდა ბაზრობაზე და ბევრს მორიგება მოსათავებელი აქვს. ბაზრობის კომიტეტის დადგენილება დასადასტურებლად წარუდგინა აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს.

ნავთის ფასი.

ბაქო. 3 ინლისი. ივლისის 3-დან ახალ განკარგულებამდე დადგენილია ნავთის და ნავთის ნაწარმოებზე ფასი ბაქოსა და მისი რაიონებისათვის. შავ ქალაქში უაქციზოდ და უტურპლოთ რუს. საბ. სოც. ფედერ. რესპუბლიკის 1922 წ. ფულით [illegible] ნავთი მძიმე—ფუთი 44 მან., მაზუთი სათბობათ—44 მ., მაუზუქი ნავთი მოტორებისათვის—46 მ., საწვავი ნავთი—65 მ., სამანქანო ზეთეული—144 მ., ცილინდრის ზეთეულობა—231, პირველი ხარისხის ბენზინი—303, მეორე ხარისხისა—216, მესამე ხარისხისა—144, გაზოლინი—96, სამანქანო ნავთი—276 მ.

კომუნალური მეურნეობის სახლები.

ბაქო. 3 ივლისი. კომუნალურ მეურნეობის გამგეობაში მყოფ სახლებისა და უძრავი ქონების განყოფილებამ შემდეგი სამუშაო გეგმა შეიმუშავა: გენერალური აღრიცხვა ყველა სამუნიციპალო სახლების, მათი დაწვრილებით გამოკვლევა, მათი გეგმები და ექსპლოატაცია. სახლების გადაფასება, იჯარით გაცემულ სახლების ტეხნიკური გამოკვლევის დასრულება, საამშენებლო-სარემონტო სამუშაონი, კერძო პირებზე თუ ამხანაგობებზე იჯარით გაცემული სახლების შემოსავალი.

ხანძარი სამრეწველოზე.

ბაქო. 3 ივლისი. ივლისის 2-ს ბინაგადის რაიონის მეორე სამრეწველოზე ბუხრის ნაპერწკლების მეოხებით ცეცხლი მოედო ნავთის მიმღებ ჩანს. აქედან ცეცხლი გადავიდა ნავთის ამბარზე. ცეცხლის მქრობელთა თავგამოდებული მუშაობის წყალობით ხანძარი სწრაფად ჩააქრეს. დაიწვა მხოლოდ რამდენიმე ფუთი დაუმუშავებელი ნავთი.

სომხეთი

დახმარება უმუშევარ სტუდენტებს.

ერევანი. 2 ივლისი. სტუდენტთა საბჭო იმუშავებს სხვა და სხვა ღონისძიებას, უმუშევარ სტუდენტთა დასახმარებლად.

სამრეცხაო უმუშევართათვის.

ერევანი. 2 ივლისი. შრომის ბირჟამ უმუშევარ მუშა-ქალებისათვის გახსნა სამრეცხველო.

მეაბრეშუმეობა.

ერევანი. 2 ივლისი. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი მეაბრეშუმეობის სადგურს აარსებს მეგრიში.

ნახიჩევანის მხარე.

აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა.

ნახიჩევანი. 2 ივლისი. ნახიჩევნის საბჭო ამ დღეებში გახსნის ორდუბათში აბრეშუმის ამოსახვევ ორ ქარხანას, სადაც იმუშავებს ასზე მეტი მუშა ხელი. ეს ქარხნები დღეში ართავს 20 გირვანქა წმინდა აბრეშუმს. იმედი აქვთ რომ 5000 ფუთი აბრეშუმის პარკი მოუვათ.

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა.

ერევანი. 3 ივლისი. ივლისში გაიმართება მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა, რომელზედაც დაესწრება აგრეთვე წარმომადგენლები რუსეთისა, საქართველოსი და აზერბეიჯანისა. 10 ივლისს, მოხდება კავშირის სამაზრო ყრილობები, რომლებზედაც განიხილავენ საორგანიზაციო საკულტურო, საურთიერთო დახმარებისა და სოციალურ უზრუნველყოფის საკითხებს.

სომხეთი სრულიად რუსეთის გამოფენაზე.

ერევანი. 3 ივლისი. სრულიად რუსეთის გამოფენისათვის გასაგზავნ ნიმუშების მზადება ჩქარის ნაბიჯით სწარმოებს. კონიაკის ქარხანა „არარატ“-ი თავის ნაწარმოების ყველა ნიმუშებს გამოჰფენს, ამერიკული კომიტეტი—საუკეთესო ჯიშის საქონელს, სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი—სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებს, მატყლს და ტყავეულობას. ამას გარდა გამოფენაზე გაიგზავნება სამკურნალო მცენარეულობა, აბრეშუმი და სხ.

არხები.

ერევანი. 3 ივლისი. მეგრის რაიონში იზანძორის და ხარჩევანის არხის გასაყვანად გაცხარებული მუშაობა სწარმოებს.

სომხური ოპერეტკა.

ერევანი. 3 ივლისი. დღეს სომხეთის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენებს იწყებს როსტოვიდან ჩამოსული საოპერეტო დასი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(4 ივლისი).

ჩერვონცები — — —	13,600
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	14,100
ჩეკები —	12,250
დოლარი ეფექტ. — —	3,200
ჩეკები —	2,900
ოსმალური ლირა — —	2285
იტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	155

სავალიუტო ბირჟის განწყობილება.

(4 ივლისი).

ჩერვონცებზე მაგრაა: ერთს დღეში თვალსაჩინოთ აიწია. ჩერვონცების მოთხოვნილება გამოცოცხლებულია სახელმწიფო დაწესებულებათა სამეურნეო და კერძო პირთა მხრივ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მდგომარეობა.

საერთო მდგომარეობა ტფილისის საქონლის ბაზარზე 4 ივლისს: ხორბლეულობა და პურის ნაწარმოებზე—მტკიცე ფასებია უმაღლეს და პირველი ხარისხის ფქვილზე, დაბალია სიმინდის ფქვილზე და სიმინდზე, არ შეცვლილა ფასი ყუბანისა და ადგილობრივ ფქვილზე, ნატეხ შაქარზე მაგარი ფასებია, აგრეთვე ფხვნილ შაქარზე, დიდი მოთხოვნილებაა მატყლისა, დანარჩენ საქონელზე უცვლელია.

თბილისის ბაზრის ფასები.

(4 ივლისი)

პური თეთრი გირ.—80—100, პური 2 ხარისხ.—45—50 მ., ფქვილი თეთრი გირ.—100 მ., საპონი როსტოვის—350 მ., საპონი მარმარილოს—300 მ., ერბო—600—800 ათ. მ., ყველი თუშური—400 ათ. მზესუმზირას ზეთი—200 — 220, შაქარი რაფინადი—660, შაქრის ფხვნილი—410—430, ბრინჯი—ბღდაშის—120, ლობიო მწვანე—100—120 ათ., კომბოსტო—70 ათ.

მუშკოოპის ფასები.

(4 ივლისი).

პური თეთრი—60 ათასი, პური 2 ხარისხ.—45, ფქვილი თეთრი—80 ათ. ბრინჯი ბღდაშის—120 ათ. საპონი როსტოვის—340 ათ. ლობიო—მწვანე—80 ათ. შაქარი რაფინადი—600 ათ. შაქრის ფხვნილი—380 ათ. კართოფილი ახალი—45 ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(4 ივლისი)

უმაღლესი ხარისხის ფქვილი, ნარმა, სახურავის რკინა, მაერის სხვა და სხვა ფერის საღებავები ტყავისათვის, ნიშადური, მური, ფურცლოვანი თუნუქი, გაცინკებული რკინა, სოდა კაუსტიკისა და კალცინისა, ინგლისური თეთრი თუნუქი, საპნის სუროგატი, შაბიამანი, ნიშადური, გოგირდი, ავსტრიული ფეხსაცმელი, გამოუქნავი ტყავეულობა, ძნის შესა-

ავი კანაფი, ნახიჩევანის მარილი.

ნადგება საფონდო ბირჟის ილისის საქონლის განყოფილებისა.

(4 ივლისი).

გორიდი, სამშენებლო რკინეუ- მავთული, ყუბანის ფქვილი უმაღლესი 1, 2 და მე 3 ხარისხისა, ქა- , მაკარონი, ვერმიშელი, ოლიფა ქის პურებით, თვლებზე გადა- ვი, რგვალი და ოთხკუთხი ს, ჩაი „ინდოეთის ვარდი“ (ად- რივ გახვეული), კალა, ერბო, რიის ყველი, ცეილონის ჩაი, ხორბალი ყუბანისა და ქურ- რისა, ცემენტი, რეზინის ტრეს- საქირე რეზინი, ს. მ. ფ. ს. ნი სარეცხისა და ხელის ნართი, ფართლეულობა, სალამასი, ასანთი რუსეთისა.

ნიჟეგოროდის ბაზრობის გამო.

ამ დღეებში ტფილისში მოეწყო კომიტეტი, რომელიც მოაგვარებს ამიერ-კავკასიის მონაწილეობას ნიჟეგოროდის ბაზრობაზე. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ბირჟა, ცენტროსოიუზი და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. ხელმძღვანელობას ყველა მუშაობას გაუწევს საფონდო ბირჟა.

ამ ჟამად შემუშავებულია შეღავათიანი პირობები, რომელიც გადაეცა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება

(იერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობიდან).

საუბარი ამხ. ივანიანთან.

თუმცა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომიტეტი თავის მობის ხასიათად არის ეკონომიუ- ორგანო, რომელმაც უნდა მოა- ერის ამიერ-კავკასიის რესპუბლი- ბის საგარეო ვაჭრობა, მაგრამ ამა- ერთის ის მოწოდებულია განახორ- ლოს საკავშირო რესპუბლიკების ლიტიკური პროგრამაც, სხვანაი- რომ ვსთქვათ, უნდა აწარმოოს ზღვრული სავაჭრო პოლიტიკა. ერ-კავკასიის გასაბჭოებამდი საგა- ვაჭრობის პოლიტიკა, როგორც თო, არ არსებობდა საერთო სა- მწიფოებრივ მასშტაბით. ვაჭრობას არ ჰქონდა არავითარი ლამენტაცია და მთელი ღონის- ბანი მიმართული იყო მატერია- ური რესურსების მიღებისაკენ სა- წიფო აპარატის ხელის შესა- ბად. თითქმის განუყოფელად ბა- ობდა კერძო კაპიტალი და ვისუფალი ვაჭრობა“.

საბჭოთა მთავრობამ, ატარებდა ის საერთო საბჭოთა სავაჭრო ტიკიაებს, პირველ ხანებში მაინც შესძლო მათი სათანადო ენერ- ით გატარება. ამას ხელს უშლიდა ზეზების მთელი რიგი. პირველი— ხზვის ნავთსადგურების მდება- ობა, განსაკუთრებით ბათომის, იმდენად ამიერ-კავკასიას ემსახურებოდა, რამდენად საბჭო- ბაზრებს საერთოდ, რადგან ამას ღლოვდა გარეშე ბაზრების საქო- გაცვლა-გამოცვლის სისუსტე თა ბაზრებთან სხვა სავაჭრო ების საშუალებით და თვით ფიული მდებარეობა ამიერ- სიისა ამას ხელს უწყობდა.

ერე—საბჭოთა ხელისუფლებამ -კავკასიაში ვერ შესძლო, უფრო მოსწრო, სახელმწიფო მრეწვე- ბისა და ვაჭრობის მოწყობა, რო- ც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთში, გან ახალმა ეკონომიურმა პოლი- ამიერ-კავკასიას მოუსწრო იმ , როდესაც აქ კერძო კაპიტა- და კერძო ინიციატივა მოქმე- და. ამას გარდა ამიერ-კავკასიის საბჭოებამდი დაარსებულ რესპუ- ებს ჰქონდათ თავთავიანთი და- ებული სამეურნეო უწყებები ნი გაერთიანებული არ იყვნენ. თო ბიუჯეტის და ერთიან საბა- სისტემის უქონლობამ და ცალკე ბლიკების არა თანასწორ რე- ების არ შეეძლო ხელი არ შე- საგარეო ვაჭრობის მთლიანი ტიკისათვის და ამავე დროს მდგომარეობა აძლიერებდა კაპიტალის პოზიციას.

ტომ ამიერ-კავკასიის საგარეო ობის სახალხო კომისარიატის დგა და ეხლაც სდგას სერიო- ამოცანა—ამიერ-კავკასიის მე- ბის დაცვა დასავლეთ-ევროპის ების მტაცებლურ კოლონია- პოლიტიკისაგან, კერძო კაპი- მნიშვნელობის შემცირება ობრივ ბაზრებზე და ხელის სახელმწიფო-კოოპერატიულ ტალის გაძლიერებისათვის. უსეთის მრეწველობის გაცხოვე- , და საბჭოთა ვაჭრობისათვის რო ბაზრებზე გასავალი ამიერ- სიის სხვა პუნქტების მუშაობის ლერება, თანდათანობით ანთავი- ბდა ამიერ-კავკასიის ნავთსა- რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა- სამსახურისაგან.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაა- და ერთიან ამიერ-კავკასიის სა- სამმართველოს დაარსებით, ამ საქონლის მთლიან საერთო სა- საბაჟო სისტემაში შესვლით. -კავკასიის საბაჟოები გაერთია- არიან ამიერ-კავკასიის სა- სამმართველოში და ფინანსთა კომისარიატიდან გადაცე- არიან ამიერ-კავკასიის საგა- ვაჭრობის სახალხო კომისარია- ქვემდებარეობაში. საბაჟო-სატა- საკითხში გაერთიანება მოხდენილია ს. ს. რ. კავშირის მასშტაბით. ამ გაერთიანების ცხოვრებაში გატარებამ ბევრი ენერგია შეიწირა. ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველომ ბევრი რამ გააკეთა საბაჟო საქმის გაუმჯობესებისათვის, როგორც ტეხნიკურის მხრივ, ისე კონტრაბანდასთან ბრძოლისა და მოსაზღვრე დამცველთა რიცხვის გაძლიერებისათვის. ამიერ-კავკასიის საბაჟოების შემოსავალი შესამჩნევად გაიზარდა ომამდის არსებულთან შედარებით. მიმდინარე წლის პირველ მესამედში ყველა საბაჟოების შემოსავალი გამოიხატა 2,817,713 მანეთში ოქროთი, რომელთაგან სალაროში ფაქტიურად შემოვიდა 1,080,730 მან. ოქროთი და ვალი აქვთ საქართველოს ზოგიერთ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს 199,562 მან. და აზერბეიჯანისა—1,537,421 მან.

რ. ს. ფ. ს. რ. საერთო-საბაჟო სისტემასთან გაერთიანების შემდეგ ამიერ-კავკასიას ბუნებრივად უნდა შემოეღო იქ მიღებული საგარეო-ვაჭრობის რეგლამენტაცია, რუსეთის ბაზრებთან ნორმალურ დამოკიდებულებათა დამყარების გამო, განსაკუთრებით ეს ეხებოდა საზღვარგარეთულ საიმპორტო საქონელს, განახლებულ საბჭოთა მრეწველობის დაცვის მიზნისათვის უცხო კონკურენციისაგან. რუსეთის საწარმოო და სამომხმარებლო ბაზრების მნიშვნელობის გადიდებასთან ამიერ-კავკასიისათვის, დასავლეთ-[illegible] ზარს უნდა დაეკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა, რისთვისაც პოლიტიკასაც საგარეო ბაზრების მიმართ უფრო მკაცრი გამოხატულება უნდა მიეღო. ასეთ გადამწყვეტ ნაბიჯს ამიერ-კავკასიის საგარეო-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი,სდგამს მიმდინარე წლის პირველი მესამედის დასასრულს და საბოლოოდ დგება საგარეო ვაჭრობის საერთო საბჭოთა რეგლამენტაციის გზაზე. ამ დროიდან შემოსატანი საქონელი ლიცენზიონურად ცხადდება (გარდა აკრძალულ საქონლისა); საექსპორტო საქონელში კი ჯერ-ჯერობით რჩება „თავისუფლად“ გასატანი საქონლის ჯგუფი, მაგრამ მეტად განსაზღვრულ რაოდენობის.

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შეცვლამ გავლენა მოახდინა საორგანიზაციო საკითხებზე საზღვარგარეთ. სტამბოლის შუამავლის როლი შესამჩნევად შესუსტდა. მოწყობილი იყო ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობა იტალიაში, ბერლინში, ლონდონში, მარსელში და ჩეხოსლოვაკიაში, შემდეგ ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუთანხმდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რომლის ძალით ყველა ჩვენი წარმომადგენლები ევროპაში შედიან რ. ს. ფ. ს. რ. სავაჭრო დელეგაციაში, დამოუკიდებლად აწარმოებენ აღრიცხვას და ანხორციელებენ ჩვენს დავალებებს სავაჭრო დელეგაციის აპარატების საშუალებით ხელშეკრულების პირობების თანახმად.განსაკუთრებული ხელშეკრულება იყო დადებული აგრეთვე არკოსთან.

რაც შეეხება სპარსეთთან დამოკიდებულებას, ამ მხრივ სპარსეთთან შეთანხმება მონოპოლიურ მდგომარეობას ანიჭებს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დასავლეთ სპარსეთში და იმავე დროს საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნეს შეერთებული ოპერაციები ჩრდილოეთ სპარსეთთან.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათლად გვიჩვენებს თუ როგორი გავლენა მოახდინა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის პოლიტიკამ საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების საქმეში და თუ როგორ შეიცვალა საგარეო ვაჭრობის ბალანსი საბჭოთა რესპუბლიკების სასარგებლოდ.

საქონლის ბრუნვა მილიონ ოქროს მანეთებში

	1922 წ. მეოთხედების მიხედვით					1923 წ. იანვარ-მარტი.
	1	2	3	4	სულ	
ტი	5,5	6,1	11,1	7,5	30,2	4,6
ტი	15,9	20,7	26,6	12,0	75,2	2,6
ბალანსი	10,4	14,6	15,5	4,5	40,0	2,0

გად საგარეო ვაჭრობის კო- ის სალიცენზიო პოლიტიკამ საგარეო ვაჭრობის აქტიურათ გადაქცევას. თუ განმავლობაში იმპორტი სჭარბობდა ექსპორტს, 1923 პირველ მესამედში ეს მდგომა- სრულიად საწინააღმდეგოთ 1922 წლის საიმპორტო სა- ჯგუფებად, დავინახავთ, ორტის მთავარ ნაწილს შეა- სასურსათო საგნები: ფქვილი , მეორე ადგილი უჭირავს . 1922 წლის განმავლობაში შემოტანილი სასურსათო საგნების საერთო ღირებულება უდრის 3292,8 (ათას მანეთს) ანუ მთელი იმპორტის 43,5 პროცენტი, მანუფაქტურის კი—26,134,2 (ათას მანეთს) ანუ იმპორტის 35,5 პროცენტი.

რომ ავიღოთ საიმპორტო საგნების რაოდენობა (1922 წელი) მეოთხედების მიხედვით, დავინახავთ, რომ ზემოაღნიშნული ჯგუფების რაოდენობა თანდათანობით მცირდებოდა, სამაგიეროთ იზრდებოდ ლითონიდან გაკეთებული საგნების შემოტანა. ეს გარემოება აიხსნება ერთის მხრით რ. ს. ფ. ს. რ. სავაჭრო კავშირის აღდგენით, მეორე მხრით კი საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სალიცენზიო პოლიტიკით.

მიმდინარე წლის ამავე პერიოდთან შედარებით იმპორტი საგრძნობლათ შემცირდა. მაგალითად ამ ხნის განმავლობაში შემოტანილი სასურსათო საგნების ღირებულება უდრის 976,5 (ათას მანეთს), 1922 წლის პირველ ოთხ თვეში შემოტანილი კი—8790 (ათას მანეთს). ა. | წ. პირველ მაისამდის იმპორტის საერთო ჯამი უდრის 2625,6 (ათას მანეთს) 1922 წლის პირველი მესამედის კი—15.864,4 (ათას მანეთს).

რაც შეეხება ექსპორტს, მის ორ მესამედს შეადგენს ჯგუფი „ნედლი მასალა და ნახევრათ ფაბრიკატები“, რომელთა საერთო ღირებულება 1922 წელში უდრის 23.746 ათას მანეთს. ამა წლის პირველ ოთხ თვეში კი გატანილი ამავე ჯგუფის საქონლის ღირებულება უდრის—3580 ათას მანეთს, წარსული წლის ამავე პერიოდის განმავლობაში კი—8540 ათას მანეთს.

1923 წლის პირველი მესამედის ექსპორტის მთელი ჯამი უდრის 4.519 ათას მანეთს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იმპორტ-ექსპორტის მთავარ საგნებს შეადგენდენ (ნაანგარიშევია ოქროს მანეთებში):

ექსპორტი.		იმპორტი.	
ნავთი	2.901.068	შაქარი	221.840
შავი-ქვა	692.883	სასოფ.-სამ. იარაღები	220.452
აბრეშუმი	461.608	კინემატოგრ. ლენტები	199.146
ხიზილალა	233.446	მანუფაქტ.	194.023
ნოხები	129.004	ავტ. და მისი სხვი და სხვა ნაწილები	73.578
მანქ. ზეთი	121.288		
ძირტკბილა	77.023		
სპარსეთში		**სპარსეთიდან**	
შაქარი და სხ.	401.855	ბრინჯი	198.875
		ბამბა	83.772
		ნაწლევები და გამხმარი ხილი	98.016

გარდა ამისა, რომ საგარეო ვაჭრობის კომისარიატი იღებდა ზომებს ჩვენი პასიური ბალანსის გამოსასწორებლად, მან მიიღო აგრეთვე ზომები სახელმწიფო-კოოპერატიული კაპიტალის გასაძლიერებლად. ამ მიზნით საგ ვაჭრ. კომისარატი ცდილობდა საგარეო ვაჭრობა მიემართა სახელმწიფო სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელში. ამისათვის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი აძლევდა ხსენებულ ორგანიზაციებს სხვა და სხვა შეღავათებს: უმცირებდა სალიცენზიო გადასახადებს და შემდეგ სრულიად გააუქმა ის. მაგრამ ამ ორგანოების საგარეო ბაზარზე დაქსაქსული გამოსვლის თავიდან ასაცილებლად, დამოუკიდებელი გამოსვლის უფლება მიეცა მხოლოდ რესპუბლიკების მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატებს და სახალხო მეურნეობის საბჭოებს, აზნეფტს, ჩემოს და ცენტროსოიუზს, დანარჩენ ორგანოებს კი შეუძლიათ გაგზავნონ თავისი წარმომადგენლები მხოლოდ გარკვეული დავალებებით.

„არკოსის“ მუშაობა

(1923 წლის პირველი ოთხი თვის ანგარიში).

„არკოსის“ ბათომის განყოფილებამ 1923 წლის პირველი იანვრიდან პირველ მაისამდე შეასრულა საქონლის იმპორტისა და ექსპორტის შემდეგი ოპერაციები:

საექსპორტო ოპერაციები იყოფა ორ ნაწილად: ნავთის და ნედლი მასალის გატანა.

ნავთის პროდუქტებიდან გატანილ იქნა საზღვარ-გარეთ: ნავთი—3 847.275 ფუთი ღირებული 209,587 გირ. სტერლინგ; მანქანის ზეთი—122.399 ფუთი, ღირებული დახლოებით 23 676 გირ. სტერლინგათ.

ნედლი მასალიდან გატანილ იქნა საზღვარ-გარეთ ტყავეულობა, ჯაგა- [illegible] ზიწეული, საერთო ღირებულებით [illegible] სტერლინგი და 38.056 ოსმალური ლირა.

საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი საქონელი იყოფა ორ კატეგორიად:

ა) საქონელი, რომელიც შემოვიდა ამიერ-კავკასიის ბაზარზე რეალიზაციისათვის და ბ) საქონელი, რომელიც დაკვეთილი იყო სხვადასხვა დაწესებულებების მიერ.

პირველი კატეგორიის საქონელში შედიან: ავტომობილები, ტრაქტორები, გუთნები, აბრეშუმი და სხვა, ღირებული 8.264 გირ. სტერლინგი 104,200 ფრანკი.

სხვადასხვა დაწესებულებებისათვის, თანახმად მათი დაკვეთისა, შემოტანილი იქნა საზღვარ-გარეთიდან: ქვაბები, მავთული, ფეხსაცმელი, შაქარი, ავტომობილები, სხვადასხვა ტეხნიკური მოწყობილობანი, მანქანების ნაწილი და სხვა., სულ 95654 სტ. და 577.411 დოლარის.

ნავთის ექსპორტი.

2 ივლისს „არკოსმა“ გემით „სკალიარია“ გაგზავნა საზღვარ-გარეთ 50.600 ფუთი ნავთი.

კოოპერაცია

ცირკულიარულად.

ყველა კოოპერატიულ რაიკავშირებს, ცეკავშირის განყოფილებებს, მთლიან მომხმარებელ საზოგადოებებს.

პატივცემულო ამხანაგებო.

კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის კულტურა-განათლების გავრცელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო ფუნქციას წარმოადგენს. კოოპერატიული ორგანიზაცია, დაწყებული უმაღლეს კოოპერატიული გაერთიანებიდან (კავშირები) და გათავებული სულ პატარა ძირითადი (პირველი საფეხურის) კოოპერატივით, ერთსა და იმავე დროს არის დაწესებულება სავაჭრო და კულტურული. ასეთია მისი ბუნება და დანიშნულება, რომელიც გამომდინარეობს მისი არსებობის ძირითადი პრინციპებიდან.

დღეს, როდესაც გაასკეცებულ ენერგიით სწარმოებს ბრძოლა ფართო მასების გათვითცნობიერებისთვის და მათი კულტურულათ ამაღლებისთვის, კოოპერაციამ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს და ერთ-ერთი საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს ამ საქმეში.

ამ ჟამად უმაღლეს პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ხელმძღვანელ ორგანიზაციებიდან გადმოსროლილია ლოზუნგი,—სოფელზე კულტურულ შეფობის მიღება. აი, სწორეთ აქ ეძლევა კოოპერატიულ ორგანიზაციებს შემთხვევა და შესაძლებლობა თავის კულტურული მუშაობის გამოჩენისა და ამ დიდ საქმეში თავისი წვლილის შეტანისა, ვინაიდან კოოპერატივები ახლოს დგანან სოფელთან და სოფლის მშრომელ მასასთან.

ამისათვის ეს კითხვა, კითხვა კოოპერატივების მიერ სოფლებზე კულტურულ შეფობის მიღებისა, დღის წესრიგში სდგება და ამ მხრივ ყველა შესაძლებლობანი უნდა იქნას ამოწურული.

ამ კითხვის პრაქტიკულათ გადაჭრა, ცხოვრებაში გატარება ერთი და ორი დღის ან კვირის საქმე არაა, მაგრამ კოოპერაცია დღეიდანვე უნდა შეუდგეს მის განხორციელებას და დაუყოვნებლივ გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები.

7 ივლისს კოოპერაცია დღესასწაულობს კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. ამ დღეს მუშების და გლეხების ფართო მასების წინაშე ფართოთ უნდა გადაიშალოს კოოპერაციის ამოცანები, მისი მნიშვნელობა და მიღწევანი, აგრეთვე გადაიდგას ნაბიჯები, რომლებიც დაუმტკიცებენ მუშათა და გლეხთა მასებს, რომ კოოპერაცია მართლაც მათი ორგანიზაციაა, მათი წიაღიდან გამოსული და მათზე მზრუნავი.

ერთ-ერთ ასეთ ნაბიჯათ და საშუალებათ უნდა ჩაითვალოს კოოპერატივების მიერ სოფლებზე შეფობის მიღება, რომელთაც უნდა დაუკავშირდეს 7 ივლისის დღესასწაული.

თანახმად ზემოთ თქმულისა 7 ივლისის დღესასწაულის ჩასატარებლათ ცენტრალური საორგანიზაციო კომისია წინადადებას აძლევს ადგილობრივ საორგანიზაციო კომისიებს, სარაიონო კოოპკავშირებს, მთლიან მომხმარებელ საზოგადოებებს და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ჩაატარონ 7 ივლისისთვის სოფლებზე კულტურული შეფობის მიღება.

პრაქტიკულათ ეს უნდა მოეწყოს შემდეგი წესით: ესა თუ ის კოოპერატიული ორგანიზაცია ირჩევს ერთ რომელიმე სოფელს, კულტურულათ შედარებით ჩამორჩენილს, იწვევს ამ სოფლის მცხოვრებთა ყრილობას, რომელზედაც აწუქებენ კითხვას კოოპერაციის საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე, კულტურულ შეფობის, მისი დანიშნულების და მიზნების შესახებ, უცხადებენ კოოპერატივების გადაწყვეტილებას მის მიერ სოფელზე შეფობის მიღებას. ამასთან უნდა იქნას აღნიშნული, თუ რა ნაბიჯები იქნება გადადგმული ახლო მომავალში შეფობის მიღებასთან დაკავშირებით კოოპერატივ—შეფის მიერ (სამკითხველოს, კლუბის, წერა-კითხვის შესწავლა) გამოწერა გაზეთების და სხვა ასეთები.

სისწორით გატარება ცირკულიარისა ევალება რაიონის ინსტრუქტორებს.

საბჭოთა საქ. კოოპერატიული დღის ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე: ე. წოვწოგაძე

ცენტრალური კომისიის მდივანი: მ. ცინცაძე.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

— **დახმარება სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულთ.** ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატმა 8000 ფუთი მარცვლეული გადასცა უფასოდ დასარიგებლად გორის მაზრის მოსახლეობაზე, რომელიც დაზარალდა ჯერ სიცხეებისაგან, შემდეგ წყალდიდობისაგან და ბოლოს სეტყვისაგან.

— **ვინ არის თავისუფალი მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან?** ადგილებიდან მოსულ შეკითხვათა გამო ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო და ფინანსთა კომისარიატები შემდეგს განმარტავენ: 1) ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის პირდაპირ აზრის თანახმად, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან მეურნეობანი: ა) რომელსაც აქვს ნახევარი დესეტინა სახნავი (გადატანით), ან ნაკლები და ბ) რომელსაც აქვს ნახევარ დესეტინაზე მეტი ერთ დესეტინამდე სახნავი (გადატანით), თუ დესეტინის მოსავალი უდრის 45 ფუთს, 2) საქონლის გადატანის დროს მსხვილფეხა საკლავ საქონელზე რიცხვი ნაჩვენები უნდა იყოს ზედმიწევნით და არავითარ შემთხვევაში ჯამი დამრგვალებული არ უნდა იქნეს და 3) საქონელი აღნუსხული და დაბეჭვრილი უნდა იქნეს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, გადასახადის გამღების მუდმივ ბინადრობის ადგილას.

— **თანამდებობაში ჩადგომა.** სახალხო სასურსათო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის მოადგილის თანამდებობის აღსრულებას უკვე შეუდგა ამხ. ა. ვაშაძე, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობს მთელის კომისარიატის მუშაობას. მის თანაშემწედ დაინიშნა ამხ. ადანაია.

სამაზრო სასურსათო კომისრების ჯამაგირები. საქართველოს სამაზრო სასურსათო კომისრებს დღეიდან მთლიან სასოფლო სამეურნეო კამპანიის დასრულებამდე ჯამაგირად მიეცემათ, ნაცვლად 40 საქონლის მანეთისა და დღიურებისა, 70 საქონლის მანეთი თვეში.

— **ქუთაისის სამაზრო სასურსათო კომისრათ** დაინიშნა ამხ. შ. ჩხეიძე.

— **გადასახადის არა პირიან გადამხდელთა სასჯელი.** სახალხო სასურსათო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულმა ცირკულიარული წინადადება მისცა საქართველოს ყველა სამაზრო სასურსათო კომისრებს, რათა დაუყოვნებლივ სამართალში მისცენ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე 3 ნაწილის მე-80 მუხლის და პირველ ნაწილის მე-79 მუხლის თანახმად, ყველა ის მოქალაქე, რომელიც ცნობებს დამალავს, ან ყალბ ცნობებს მიაწოდებს მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადით დასაბეგვრ ობიექტების სიების შედგენის დროს, აგრეთვე ისინი, ვინც გადასახადს არ გადაიხდის, ან აშკარად ცუდის ღირსების პროდუქტებს ჩააბარებს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანგარიშში.

სასოფლო მეურნეობა

სავეტერინარო განყოფილება.

(მაისის ანგარიში).

განყოფილება განაგრძობდა ბრძოლას ეპიზოოტიებთან (საქონლის ავადმყოფობასთან). თვის განმავლობაში შემჩნეულია: საქონლის ჭირი, ციმბირის, იაშჩური, ღორების სნეულებანი. ღორების მოვლა-მოშენების მიზნით მიღებულია ზომები ამ ცხოველ სენის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად: ამ საქმის მოსაგვარებლად განყოფილებას რადიო სადგურს ახლო, მანთაშევის ეკონომიიდან გადაეცა შენობა, სადაც უკვე დაწყებულია მუშაობა. ამ ჟამად უკვე დაწყებულია ღორის სენთან მიზანშეწონილი ბრძოლა. განყოფილების მიერ გაგზავნილ იქნა მოსკოვში მოკავშირე რესპუბლიკების სავეტერინარო სამმართველოს წარმომადგენელთა ყრილობაზე 2 წარმომადგენელი. საანგარიშო თვის განმავლობაში თავთავიანთ დარგებში მუშაობას აწარმოებდენ საშრატე სადგური სოფელ ტაბახმელაში და სავეტერინარო ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.

ცხენთა საჯიშოების სამმართველო

საანგარიშო თვის განმავლობაში იმართებოდა ცხენების შესაჯიშებელი დოლი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ საქ. სახელ. ცხენთა საჯიშოების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, მიწ. სახ. კომისარიატის, სამხედრო უწყების და კერძო პირთა ცხენები.

დაბრუნდა მოსკოვიდან იქ გაგზავნილი თანამშრომელი, რომელმაც ჩამოიყვანა რუს. მიწადმოქ სახ. კომ. მიერ საქართველოსთვის ნაჩუქარი 2 წმინდა სისხლის ცხენი და 2 თოხარიკი მეტისები. მოსკოვიდან გამოწერილ იქნა და ჩამოვიდა მოჯირითე ცხენების მწვრთნელი. შეძენილია საზ. „ქართლი“-სგან ფაშატი, როგორც ძვირფასი საჯიშე. შეკეთდა ცხენთა საჯიშოების თბილისის თავლა.

შინა მრეწველობის განყოფილება

ამ განყოფილების 4 სახელოსნოებში დამზადებულია 4,406 არშინი მაუდი (полуфабрикат). სამღებრო სახელოსნოებში მოთელილია 2,543 სამ. მეოთხედი არშინი. შეღებილია 2,709 ნახ. არშ. აქედან 2,305-ნახ. არშინი შეღებილია ქიმიურად, 404 მცენ. სად. 14-ნახ. არშ. აბრეშუმი, 12-ნახ. გირ. სახალიჩო ნართი და 27 დაწუნებული მაუდი. დაპრესილია 2,735-ნახ. არშ. სადურგლო სახელოსნოში დამზადდა საფეიქრო დაზგები, შეკეთდა საფეიქროს ძველი დაზგები და შენობა. საარშიო სახელოსნოში დამზადებულია არშიები სიგ. 2—10 სანტ.—31 არშინი, სხვა და სხვა მხატვრული მატიფები 12 ცალი.

თეთრეულობის სახელოსნოში დამზადებულია ქალის და ვაჟის 36 თეთრეული. სახალიჩო სახელოსნოში დამზადებულია 769 კვად. ვერშოკის ხალიჩის ქსოვილი.

პროფკავშირებში

მეტყავეთა კავშირში.

მეტყავეთა ქარხნის მუშების კრება.

28 ივნისს, შესდგა მეტყავეთა ქარხნის მუშების საერთო კრება. კრებაზე მოხსენება წაიკითხა ამხ. ხანგულიანმა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო სრ. საქართ. პროფკავშირთა მესამე ყრილობის დადგენილებები და მუშაობის შედეგები. კრებამ ერთხმად დაადგინა გააღრმავოს პროფმუშაობა, და ყოველივე თავისი ძალღონით დაეხმაროს პროფკავშირებს.

სესხი—მუშებს.

პროფკავშირთა მესამე ყრილობის დადგენილების თანახმად, მეტყავეთა კავშირმა გადასწყვიტა უახლოეს მომავალში გაატაროს ცხოვრებაში სესხის მიცემის საკითხი მუშებს შორის.

მუშფაკზე.

მეტყავეთა კავშირს თავის წევრთათვის მუშათა ფაკულტეტზე დაეთმო 9 ადგილი, რომელიც განაწილდება წარმოება-დაწესებულებებში მომუშავეთა შორის.

სააგარაკო მკურნალობა.

მეტყავეთა კავშირმა მიმდინარე ზაფხულს, მიიღო რამდენიმე ადგილი დასასვენებელ სახლებში. სააგარაკო მკურნალობის მიზნით გაიგზავნენ ის მუშები, რომელნიც ავადმყოფობის გამო საჭიროებენ აგარაკზე დასვენებას და მკურნალობას.

მეოთხე რაიადგილკომში.

28 ივნისს, მეოთხე რაიადგილკომში შესდგა მუშა-მეტყავეთა კრება. კრებაზე მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე წაიკითხეს ამხ. გარიბჯანიანმა და ბატიროევმა. კრებამ მიიღო ერთხმად რეზოლიუცია, რომელშიაც მიესალმება საბჭოთა ხელისუფლებას და აღუთქვამს მას ყოველივე დახმარებას.

ექსკურსიების მოსაწყობად.

მეორე რაიონის ადგილკომმა შუამდგომლობით მიმართა ცენტრალურ კავშირს, რათა მან ნება დართოს მოაწყოს მუშათა ექსკურსია მეცნიერულ მიზნით და ხელმძღვანელობითაც დაეხმაროს მას.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

სატარიფო შეთანხმების პროექტი ინჟინერთათვის.

კომუნალურ მეურნეობის კავშირის სამდივნომ, დაამტკიცა სატარიფო შეთანხმების პროექტი—ინჟინერთათვის. პროექტში მტკიცედ არის გათვალისწინებული, როგორც უმაღლესი ხარისხის ხელფასის რაოდენობა, ისე უმცირეს ხელფასის.

26 კომუნარების სახელობის კლუბი.

კავშირმა 26 კომუნარების სახელობის კლუბი გადასცა სანიტ-ტეხნიკურ განყოფილებას და ცეცხლის მქრობელ რაზმის ადგილკომს, რომელნიც აწარმოებენ საკლუბო საქმეს.

ბავშვთა სახლის მოსამსახურეებისთვის.

კავშირმა გამოიმუშავა სატარიფო შეთანხმება ბავშვთა სახლის მოსამსახურეთათვის. უმცირეს ხელფასად დაწესებულია საქონლის 7 მან. უმაღლესი—18 საქონ. მანეთი.

„მშრომელთა არტელის“ შუამდგომლობა.

კავშირმა დააკმაყოფილა „მშრომელთა არტელის“ შუამდგომლობა თავის ბოსტნის საჭიროებისთვის საჭირო თანხის გადადების შესახებ.

მუშათა სახლების შესაკეთებლად.

კავშირმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა მუშა-სახლების შესაკეთებლად. პირველ რიგში შეკეთდება მუშათა სახლების წყალსადენი მილები, რომელიც შესამჩნევად არის დაზიანებული.

წითელ ჯარში

კამპანია დეზერტირობის წინააღმდეგ.

1 ივლისიდან ქართულ მსროლელ დივიზიის ყველა ნაწილებში დაიწყო კამპანია დეზერტირობის წინააღმდეგ; კამპანია დამთავრდება 8 ივლისს. კამპანიის დაწყებამდე იქმნა გამოქვეყნებული ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილების მოწოდება, რომელიც ავალებდა ყველა ნაწილებს მიეცათ აღნიშნულ კამპანიისათვის ფართო ხასიათი.

შეფობის მიღება.

ჩვენმა ჯარმა 24 ივნისს მიიღო შეფობა ხუთ სოფელზე: ზეკოტასა, ბიჟინისა, ურტხვასა, ჩუმათელეთსა და იტრიაზე. შეფობის მიღებას ჰქონდა სადღესასწაულო ხასიათი. მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებული შეხვდა წითელ ჯარს და აღტაცებით მიიღო მათგან გამოწვდილი დახმარების ხელი.

პირველ ლეგიონში.

პირველი ლეგიონი გასული საგარაკოთ № ქალაქში, უკვე მოეწყო. მეცადინეობა ყოველ დარგში ნორმალურად მიმდინარეობს.

წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი, რომელიც თითქმის 450 აღწევს უკვე ჩაბმულია მეცადინეობის საქმეში; საჭირო კადრი მასწავლებლებისა უკვე ნაშოვია და გადაგზავნილია № ქალაქში. სულ არის 15 მასწავლებელი; მათგან 4 შტატისაა, 8 შტატ-გარეთ და სამიც უფროს პოლიტ. და წითელ არმიელების შემადგენლობიდან. მეცადინეობა სწარმოებს სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში, სადაც შვიდი ოთახია.

პოლიტ-საათი.

პოლიტ-საათის მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღე დილაობით. გადიან პოლიტ. განყოფილების მიერ მიცემულ პროგრამას. უფროს შემადგენლობასთან პოლიტიკური მეცადინეობა სწარმოებს.

სამკითხველო და კლუბი.

სამკითხველო და კლუბი დაშორებულია წითელ არმიელების სადგომ ადგილს, რაც ძალიან უხერხულებას იწვევს წითელ-არმიელებისათვის.

გაზეთებს ღებულობენ თავის დროზე. კლუბში წითელ-არმიელების ძალებით იმართება წარმოდგენები, სამხედრო ვარჯიშობაც ჩქარის ტემპით სწარმოებს.

დამოკიდებულება წითელ არმიელებსა და მეთაურ შემადგენლობათა შორის კარგია.

კავშირი სოფლებთან.

ლეგიონს აქვს მჭიდრო [illegible] მახლობელ სოფლებთან, სადაც ყოველ კვირას იგზავნებიან მომხსენებლები, რომლებიც უხსნიან ყველა იმ საჭირ ბოროტო კითხვებს, რომელიც აწუხებს მშრომელ გლეხობას.

ნაგრი.

მეტრიული სისტემის საზომების დამზადება

მეტრიული სისტემის შემოსაღებად სწარმოებს გამუდმებული მუშაობა. სალითონო განყოფილების ქარხნები შეუდგენ ხის და რკინის მეტრებისა და ნახევრად მეტრების და აგრეთვე თუჯის, ბრინჯაოს და სპილენძის საწონ გირების დამზადებას, რომელნიც თავის ღირსებით ოდნავაც არ ჩამოურჩებიან საზღვარ-გარეთის ქარხანაში დამზადებულ საწონებს მთავარი სამეტრო განყოფილება ახლო მომავალში გამოუშვებს კედლის სხვა და სხვა გვარ საჩვენებელ ცხრილებს, რომელთა გამოშვების შემდეგ, გამოცემა განსამარტავი ბროშურები და დაიწყება ზეპირი საპროპაგანდო კამპანია. ამ მიზნით მთავარი სამეტრო განყოფილების დახმარებით ამკ. ცალკ. არმიასთან მთელი რიგი ლექციებისა მეტრიული სისტემის წითელ არმიაში საპოპულიარიზაციოდ და აგრეთვე სამხედრო სამეურნეო ორგანოების მეტრიულ სისტემაზე გადასაყვანად. დამყარებულია კონტაქტი ა. | კავკასიის რკინისგზებთან, რომელიც მეტრიულ სისტემაზე გადასვლის დროს ხელმძღვანელობას გაუწევს მთავარი სამეტრო განყოფილება და დაამზადებს მათთვის მეტრიულ საზომებს და საწონებს. გადადგმული ნაბიჯი განათლების სახალხო კომისარიატთან კონტაქტის დასამყარებლად მეტროლოგიის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსების დაარსების შესახებ, დაწყებულია სითხეების მეტრიული საზომების კეთება ღვინის, არაყის, ნავთის და რძის ვაჭრობის საჭიროებისათვის სწარმოებს სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათათვის მეტრიული ზომების თანდათანობით მიწოდება.

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა

(მუშაობის უფროს კალტაძის საუბრიდან)

მუშაობა საომარ წესით სწარმოებს. რვა ვერსის მანძილზე უკვე დაწყობილია რელსები და მერიის სადგურამდე დადის ორთქლმავალი.

მიწის სამუშაო ნატანების სადგურამდე დასრულებულია.

დამთავრდა 4 დიდი ხიდი. ქვითკირის სამუშაო 400 კუბს უდრის.

მთავრობა გაწესრიგებულად ვერ გვაწვდის ფულს.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში

საქმეების გარჩევა ა. წ. 5 ივლისიდან 15 ივლისამდე ქ. ლიუქსენბურგში (ეკატერინენფელდში) იხსნება სასამართლოს საჯარო სხდომები აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის სესიის მიერ საქმეების განსახილველად: 1. ავეტიკ არუთინის ძე მინასოვის ბრალდების შესახებ მკვლელობაში ს. ს. კ. 2 ნაწ. 191 მუხ., 2) მაგერამ მამედ ოღლის და რუსტამ პაშა ოღლის ბრალდების შესახებ ავაზაკურ დაცემაში, 3) გიორგი მიხეილის ძე შალამოვის და მუსტაფა იდრის ოღლის ბრალდების შესახებ ქრთამის აღებაში და მიცემაში 1 ნაწ. 117 მ. მე 4 ნ. 117 მ., 4) ნიკოლოზ (იგივე ელისო) დავითის ძე ჯანგველაძის ა. გარეგინ სარქისის ძე ბადალოვის შესახებ თანამდებობით ბოროტმოქმედებაში ს. ს.-კ. მე. 2 ნაწ. 109 მუხ., 5) მანსირ აბდულა ოღლის და მამედ ნასიდ ოღლის ავაზაკურ დაცემაში მე 2 ნაწ. 191 მ., 6) მუსა იბრაგიმ ოღლის ბრალდების შესახებ სისტემატიურ ყაჩაღობაში ს. ს. კ. 76 მუხ., 7) ნიკოლოზ ფეიფილაქეის ძე ჩაგულოვის ბრალდების შესახებ ხელისუფლების გადამეტებაში ს. ს. კ. მე 2 ნაწ. 109 მუხ. 8) ხაჩატურ მხიტარის ძე თუმანოვის ბრალდების შესახებ პარონიანცის დაჭრაში ს. ს. კ. 2 ნაწ. 191., 9) ივანე ვასილის ძე ფეოდოროვის ბრალდების შესახებ ხელისუფლების გადამეტებაში ს. ს. კ. 15 მ. 2 ნაწ. 109 მ.

შრომის სამეცნიერო ასოციაცია

(მუშაობის მიმოხილვა მაისისა და ივნისის განმავლობაში).

ორგანიზაცია და წესდება.

ასოციაცია დაარსდა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების ინიციატივით ა. | წ. აპრილის ბოლო რიცხვებში, წესდება კი დამტკიცებულ იქნა პროფკავშირთა საბჭოს მიერ 10 მაისს.

ასოციაციის ძირითადი მიზანი წესდების მიხედვით არის ს. ს. ს. რესპუბლიკის შრომის ინსტიტუტის მომზადებისათვის მუშაობის წარმოება;

ასოციაციის კერძო დავალებებს კი შეადგენს: ასოციაციის მუშაკების კონცენტრაცია, დამხმარე დაწესებულებების მოწყობა (წიგნთ-საცავები, კაბინეტები, მუზეუმები), ასოციაციის იდეის პროპაგანდა, წრეებისა და ფილიალური განყოფილებებისათვის ხელის შეწყობა, საკონსულტაციო ბიუროს მოწყობა სამრეწველო წარმოებებისათვის და სხვა.

ასოციაციის წევრებად არიან ორგანიზაციები და კერძო პირები, პრეზიდიუმი შესდგება 6 წევრისაგან საერთო კრებიდან, სამი პროფკავშირთა საბჭოდან და თითო წევრი ს. მ. ფ. ს., პროფესიონალურ განათლების მთავარ სამმართველოდან, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატიდან, კავკასიის ცალკე არმიის საინჟინერო ცენტრიდან, შრომის სახალხო კომისარიატიდან, რკინის გზათა სამმართველოდან, სოციალური დაზღვევის კასიდან, კომუნისტური უნივერსიტეტიდან და მუშათა ფაკულტეტიდან.

ივნისის განმავლობაში დაწესდა ორგანიზაციული კავშირი სხვადასხვა დაწესებულებებთან და მოეწყო სექციური მუშაობა. გადაწყვეტილია აგრეთვე საქიმიო სექციის დაარსება და დებულების გამომუშავება წევრების-კორესპონდენტების შესახებ.

საბჭო და მუშაობის გეგმა.

ასოციაციის საბჭომ გამოიმუშავა მუშაობის ერთიანი გეგმა, რომელიც უკვე დამტკიცებულია. უახლოესი დროის კონკრეტიულ ამოცანებს შეადგენს—შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სპეციალური ორგანოების დაარსება სხვა ორგანიზაციებში; შრომის მეცნიერული ორგანიზაციის წრეებისათვის ხელის შეწყობა, მონაწილეობის მიღება შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის [illegible] ლიად რუსეთის ყრილობაზე, გამოგონებათა ბიუროს დაარსება და სხვა. ივნისში საბჭოს მიერ მიღებულ იქნა პრეზიდიუმის პროექტი შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის კაბინეტის დაარსების შესახებ.

პრესს-ბიუროს ლექციები.

მაისის განმავლობაში გატარებული იყო ამხ. მიხაილოვის 2 ლექცია ასოციაციის ისტორიისა და შინაარსის შესახებ შრომის და წარმოების ორგანიზაციის სფეროში და მისი ადგილის შესახებ საერთო სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში. მისივე განმავლობაში სწარმოებდა ასოციაციის მასალების ყოველკვირეული გამოცემა. განზრახულია მთელი რიგი ლექციების მოწყობა (ადამიანის მუშაობის მექანიკა, ფსიხოტეხნიკა, შრომისა და ხელფასის მოწესრიგება, სახელმწიფო მმართველობის საკითხები და სხვა). ივნისის განმავლობაში შესდგა 3 ლექცია, რომელთაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს კერძოდ მუშათა წრეებში.

ასოციაციის ბიბლიოთეკა და კაბინეტი.

ბიბლიოთეკას ჯერჯერობით აქვს 78 წიგნი; კითხულობენ უმთავრესად ასოციაციის მუშაკები, ინჟინერები, ექიმები და მუშები. წიგნების შეძენა ადგილობრივ ბაზარზე შეფერხებულია საშუალებების უქონლობის გამო.

მატერიალური მხარე.

ასოციაციამ ჯერჯერობით ფაქტიურად მატერიალური დახმარება მიიღო მხოლოდ პროფკავშირთა საბჭოსაგან და ის, ხარჯთ-აღრიცხვის დასაფარავად, იძულებულია შემოიღოს გადასახადის სისტემა იმ ხუთ ორგანიზაციისათვის, რომელნიც საბჭოში შედიან; ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ხარჯები გამოიხატება 250 საქონლის მანეთში თვეში. მთელი შემოსავალი მაისისა და ივნისის განმავლობაში გამოიხატა 130 მანეთში, რაც ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით შეადგენს 292.145.000 მანეთს. საერთოდ საშუალებების უქონლობა მეტად აფერხებს საქმის განვითარებასა და გაფართოებას. ასოციაცია კი საერთოდ დიდ ინტერესს იწვევს მუშათა მასების ფართო წრეებში.

ქრონიკა

განათლების კომისარიატში.

— **თეატრების მმართველობის გაუქმება.** განათლების კომისარიატის დადგენილებით გაუქმებულია აკადემიური თეატრების მმართველობა. აგრეთვე გაუქმებული იქნა აღნიშნულ მმართველობასთან არსებული პოლიტიკური კომისარის თანამდებობა.

— **სახელოვნო კომიტეტის გაუქმება.** განათლების კომისარიატის დადგენილებით, გაუქმდა განათლების კომისარიატთან არსებული სახელოვნო კომიტეტი მთელი მისი შემადგენლობით.

— **პროფესორ დ. უზნაძის მივლინება საზღვარ-გარეთ.** სახ. განათლების კომისარიატის პროფ. განათლების განყოფილებამ სამეცნიერო მიზნით გერმანიაში მიავლინა სახ. უნივერსიტეტის პროფესორი უზნაძე.

— **ექსკურსია.** გან. სახ. კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებ-

მუშათა ცხოვრება

მელითონეებში.

კულტურული მუშაობა მელითონეებში კარგად მიმდინარეობს. დროგამოშვებით იმართება ლექციები და მოხსენებები.

ახლო მომავალში განზრახულია გაიმართოს მე-3 სახელოსნოსთან არსებულ მელითონეთა კლუბში დიდი საღამო, კლუბის ფონდის გასაძლიერებლად. კულტ-კომისიის და ქარხნის—კომიტეტის საშუალებით შეძენილია მუსიკალური იმსტრუმენტები: სკრიპკა, ვიოლენჩელი, კონტრაბასი და მან-დოლინა. ეს საკრავები ამ ჟამად არის მუსიკალურ სახელოსნოში შესაკეთებლად. შემდეგში ლითონის განყოფილებასთან დაარსდება მუსიკალური წრე, რომელშიაც უკვე სურვილი აქვს ჩაეწეროს ბევრ მუშას. გაზეთები მოგვდის, და შესვენების დროს მუშები გაზეთებს კითხულობენ და გულ-მოდგინეთ თვალს ადევნებენ ცხოვრების მიმდინარეობას. მოდის აგრეთვე რამდენიმე ჟურნალი, ალსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ პროფ-ტეხნიკური კურსები, აქ ჯერ-ჯერობით ვერ მოეწყო, იმისდა მიხედვით, რომ კავშირის მიერ იყო მიღებული ყოველივე ზომა სამწუხაროდ, უსახსრობის გამო დღესაც მიყუჩებულია ეს ფრიად სიმპატიური დასაწყისი. მუშა-ხელის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საჭიროა სწორედ ასეთი კურსები, რასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. პოლიტ-განათლების წრეშიც სისტემატიურად დაიარებიან მუშა-მსმენელები.

მელითონე.

მუშკოპის პურის საცხობების მუშებში.

ამ პურის საცხობებში მოიპოვებიან წერა-კითხვის უცოდინარი მუშები. ეს აიხსნება იმით, რომ უკანასკნელ ხანებში მუშკოპის პურის საცხობების რაოდენობა გადიდებულია.

ამან გამოიწვია ახალი მომუშავეთა მოწვევა, რომლებშიაც გამოერიენ წერა-კითხვის უცოდინარნიც.

ამ მუშებიდან სომეხ მუშებისათვის არსებობს ამ ჟამად სკოლა 1 საფეხურისა. მუშები დადიან აგრეთვე მუშათა ცენტრალურ კლუბის სკოლაში.

მუშების კომიტეტს მუშათა კულტურული მდგომარეობის კარგ დონეზე დაყენების სურვილი აქვს, ამ საქმეში მას უნდა დაეხმარონ თვით მუშებიც.

მუშკორი ძველთაგანი.

გაუსწორებელი ექსპლოატატორი.

ბევრი დაიწერა ექსპლოატატორებზე, მაგრამ ეს მაინც არ კმარა.

კარლ-მარქსის მოედანზედ (ყოფ. ვორონცოვის მოედანი) არის გამართული „რესტორანი“ „ოქროს ლუზა“. მისი პატრონი არის ალექსანდრე ეგნატაშვილი. ეს აულაგმავი, გაუსწორებელი „ოზობა“ რამოდენიმე ხნის წინედ ჩამოვიდა ბაქოდან და—აქ, თბილისში შემთხვევით იყიდა რესტორანი „ლუზა“.

აქ დაიწყო მან საზანდარით და ზურნით მშრომელ ხალხის მოზიდვა და ღვინოში გააფართოვა თვისი „წარმოება“ და გახსნა სხვა რესტორანებიც. რესტორანებში აიყვანა ორი მომუშავე შრომის ბირჟიდან—სხვების თვალსახვევად, დანარჩენები კი ექვს კაცამდე აიყვანა კერძოდ,—უბირჟოდ. ამ მუშების და მათ შორის კავშირის წევრების შრომას მან დაუწყო სასტიკი „ექსპლოატაცია“ დღის განმავლობაში თვრამეტს და მეტ—საათს ამუშავებდა მათ დაუსვენებლად. ეს უკანონო საქციელი თავის დროზედ იყო შემჩნეული, მოქ. ეგნატაშვილი იქნა მიცემული პასუხისგებაში. და ის დააჯარიმეს ხუთას მანეთ ოქროთი. მაგრამ ამას სრულებით არ შეუწუხებია ეს ვაებატონი, ვინაიდან ეს თანხა ასჯერ მეტის რაოდენობით მან აატყავა მუშების ზურგზედ. ამის შემდეგ მან კიდევ გახსნა რესტორანი „დათვი“, სადაც აიყვანა მისთვის სასურველი მოსამსახურე მის კომპანიონ მეგობართან—ერთად. ეს გახლავთ გიორგი კერესელიძე. როდესაც მათთან მივიდენ დამზღვევ სალაროს აგენტები, მათ დაუმალეს მოსამსახურეთა გვარები და სახელები იმიტომ რომ, მათ არ უნდოდათ მიეცათ დამზღვევ სალაროსათვის დასაზღვევი ფული. ეს თანხა ამ ვაებატონებს ალბად გამოადგებათ სხვა რესტორანების გასამართავად და საექსპლოატაციოდ.

იმედია ამას მიექცევა ყურადღება და გამოუსწორებელი ექსპლოატატორი გაძევებული იქნება თბილისიდან, ისე, როგორც იგი იყო გამოხვეტილი ბაქოდან. მასთან საჭიროა მათი წარმოება გადაეცეს პროფკავშირს, კეთილ საქმისათვის ლოთობის და ექსპლოატაციის მოსასპობად. ამ გვარ ექსპლოატატორს არ უნდა ქონდეს ადგილი საცხოვრებლად, საბჭოთა სახელმწიფოში და მის წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული გადაჭრილი ზომები.

მუშკორი კოლო,

მუშათა ქრონიკა

უმუშევართა დაზღვევა.

— დამზღვევი კასის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად პირველ რიგში დაიზღვევა ოჯახიდან მხოლოდ ერთი უმუშევარი, დანარჩენები კი, რომელნიც ინსტრუქციის მიხედვით დასაზღვევი არიან დაიზღვევიან სათანადო საყოფი თანხის მიხედვით.

— დაზღვეულ უმუშევრებს, რომელნიც იგზავნებიან დროებით სამუშაოზე, მიეცემათ ერთდროული დახმარებები.

საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

— ავტო-სახელოსნო № 1-ის თანამშრომლებმა გაიღეს თავის შრომის ხელფასიდან სათანადო თანხა წითელი ფლოტის სასარგებლოდ.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

(პასუხისმგებლობა სამეურნეო დარგში დანაშაულისათვის).

კითხვა: რა სასჯელი მოელის კონტრაგენტს სახელმწიფო დაწესებულებასთან ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის?

პასუხი: შეუსრულებლობა სახელმწიფო დაწესებულებასა ან საწარმოოსთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებისა, თუ დამტკიცდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის წინასწარ შეცნობილი ბოროტი განზრახვა ან სხვა, წინასწარ შეცნობილი არა კეთილსინდისიერი მოქმედება სახელმწიფოს მიმართ, თუნდაც ეს მოქმედება გამოიხატოს ვადამდე ავანსების დაბრუნებით და ხელშეკრულების შემდეგში შესრულებაზედ ხელის აღებით, უკეთუ ამასთან სახელმწიფოს მიერ მიცემული სახსარი გამოყენებულ იქნა არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულობის შესასრულებლად, არამედ სხვა მიზნისათვის, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ორი წლისა და ქონების ნაწილის კონფისკაციით.

ხოლო, უკეთუ დამტკიცდა ა მოქმედების აშკარა ბოროტ-განზრახული ხასიათი, და მას თან სდევდა ხაზინის აგენტისა და კონტრაგენტის წინასწარი შეთანხმება, სასჯელი შეიძლება აწეულ იქნეს უმაღლეს ზომამდე (დახვრეტამდე) მთელი ქონების კონფისკაციით. (სისხ. სამართლ. კოდ. მუხ. 134).

ბის მთავარ-მმართველობამ დაავალა საქ. მუზეუმის თანამშრომელთ გ. ჩიტაიას და მ. შავიშვილს—მოაწყონ ექსკურსია ახალციხის მაზრაში—ისტორიულ სიძველეთა შესასწავლათ.

— **სამეცნიერო ექსპედიცია.** ამ დღეებში ოდიშ-სამურზაყანოში მიემგზავრება საქ. მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის მიზანია გამოიკვლიოს მხარე გეოლოგიურად, ბოტანიკურად, ზოოლოგიურად და ეტნოლოგიურად.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **აგარაკების დათვალიერება.** ჯანმრთელობის კომისარი ამხ. კუჭაიძე გაემგზავრა ბორჯომ-აბასთუმანის რაიონის აგარაკების დასათვალიერებლათ.

— **ახტალის აბანოები.** ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიამ სიღნაღის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, დაუთმო 5 ადგილი, ახტალის აბანოებზე.

— **ბორჯომის ვანების სეზონის გახსნა.** 10 ივნისს, გაიხსნება ბორჯომის ვანების სეზონი.

ქალაქის აღმასკომში

— **ხორცის გადასაზიდი ტრამვაის ვაგონი.** 2 ივლისს, აღმასკომის პრეზიდიუმის თანდასწრებით სანიმუშოთ გამოუშვეს ხორცის გადასაზიდი ტრამვაის ვაგონი. გასინჯვამ დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა. ვაგონს აქვს რამდენიმე განყოფილება ცინკით გაკეთებული. ამ დღეებში გამოუშვებენ ამგვარ რამდენიმე ვაგონს.

— **ამხ. ლენინის სახელობის ბაღი.** აღმასკომის სააღმშენებლო განყოფილება შეუდგა ოლღას ქუჩაზე ზემელის აფთიაქის პირდაპირ მდებარე დუქნების აღებას, სადაც გაშენებული იქნება ამხ. ლენინის სახელობის ბაღი.

კოოპერაცია.

პარკის დამზადება. ცეკავშირის სამტრედიის განყოფილებამ გამოიჩინა არა ჩვეულებრივი წარმატებითი მუშაობა პარკის ოპერაციის ჩატარებაში. თითქმის არც ერთ წელს არ ახსოვს სამტრედიის რაიონში ასეთი პარკის მოსავალი, როგორიც არის 1923 წ. იმ პუნქტებში, რომლებიც მომზადებული იყო მიეღო ათასი ფუთი, მიიღო სამი ათასი ფუთი; პარკს საუცხოვოთ უვლიან. ოპერაცია თითქმის დამთავრებულია და მოგროვილია სამტრედიის რაიონში 54 ათასი ფუთამდე ნედლი პარკი. 4 ივლისს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ტოროშელიძე და მისი მოადგილე ამხ. გ. მგალობლიშვილი გაემგზავრენ სამტრედიაში საქმეების გასაცნობათ და შესაფერ დირექტივების მისაცემათ.

— **ტანთსაცმელების მიღება.** კოოპერატივი „კომუნისტური ამხანაგობა“ ამ დღეებში მოსკოვიდან მიიღებს შეკერილ ტანთსაცმელების პარტიას (ქალის და კაცის), რომელსაც გაანაწილებს თავის წევრებს შორის შეღავათიან ფასებში.

სხვა და სხვა.

— **ა.—კ. რკინისგზელთა მეოთხე ყრილობა.** დღეს, შუადღის 5 საათზე, მუშტაიდის მუშათა კლუბში გაიხსნება ა.—კ. რკინისგზელთა მეოთხე ყრილობა.

— **ჰაეროპლანი „საქართველოს პროფ - კავშირი“.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს განზრახვა აქვს შეიძინოს ერთი ჰაეროპლანი და დაარქვას „საქართველოს პროფკავშირი“.

— **საჰაერო ფლოტის კვირეული.** 15 ივლისიდან 21 ივლისამდე დაიწყება საჰაერო ფლოტის კვირეული. კვირეულის განმავლობაში თბილისის სხვა და სხვა უბნებში მოეწყობა ლექციები საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ. კვირეულის ნაყოფიერათ ჩასატარებლად გამოვა პლაკატები, მოწოდებები და სხვა.

— **არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგები ფონდი.** არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგებათ, თბილისის რკინის გზის სადგურის მუშა - მოსამსახურეებმა შეაგროვეს 33,530,000 მ., და ამავე სადგურის კონდუქტორთა ბრიგადამ—164,040,000 მ.

— **ბაქოს ბაზრობა.** ბაქოდან მიღებული ცნობებით, ბაქოს ბაზრობა იკეტება დღეს 5 ივლისს.

— **შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ასოციაციაში.** ოთხშაბათს 4 ივლისს შესდგა ასოციაციის საბჭოს სხდომა. ხუთშაბათს 5 ივლის გაიხსნება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართო კონფერენცია.

— **დაკარგულია.** ერთიან პარტიული ბილეთი № 489075 და დროებითი № 2659 ჩაითვლება გაუქმებულათ.

შრომის ბირჟა

— მეჩექმეთა არტელის გაუქმება. შრომის ბირჟის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გაუქმებული იქნეს, ან გადახალისებული მეჩექმეთა არტელი, რომელიც არ შეეფერება თავის დანიშნულებას.

— უმუშევრები. 3 ივლისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 632 უმუშევარი, ჩაეწერა 73, ამავე დღეს სამუშაოზე გაიგზავნა—102.

პროვინციაში

სუფსა.

კვირას, 24 ივნისს, ა | წ. სუფსის პოლიტგანის ინიციატივით იქმნა გამართული სუფსის წითელ კლუბის შენობაში, ლიტერატურული გასამართლება, სურამის ციხის გმირი ქალის „ვარდუასი“, რომელიც საუცხოვოთ ჩატარდა და დამსწრე საზოგადოებაც დიდი კმაყოფილი დარჩა. საღამოს მთელი შემოსავალი უდრიდა 19,000.000 მანეთს, რომელი თანხაც მეორე დღესვე სრულათ გაიგზავნა გაზეთებისთვის, ფოსტის საშვალებით. დღე დღესოულობით სუფსის პოლიტგანათლების განყოფილებას მოდის „მიწის მუშა“ „სპარტაკი“ და „კომუნისტი“, რომელიც ნაწილდება ბიბლიოთეკებზე და ხალხზე სრულიად უფასოდ.

მ. ტ.

წერილი რედაქციის მიმართ

მეტეხის ხიდის სააღმშენებლო კომიტეტი, ახალქალაქის თემის აღმასკომი, ახალქალაქის პარტკომი და სოფელ მეტეხის გლეხთა საბჭო ულრმეს მადლობას უცხადებენ ინჟინერ შალვა ლიაძეს, რომელმაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარა მეტეხის ხიდის დამბას. ინჟინერი ლიაძე სამი თვის განმავლობაში ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას ეწეოდა და ამავე დროს განიცდიდა დიდ სულიერ მღელვარებას მდინარის ადიდების და დაწყებულ საქმის დასამარების მოლოდინში, მაგრამ საქმის ზედმიწევნით ცოდნამ, საჭირო გამოცდილებამ და ამავე დროს სოფლელების თავგანწირულმა მუშაობამ გაიმარჯვა: ხიფათი აცდენილია, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. ამხანაგმა ლიაძემ შესძლო საერთო ენის გამონახვა მცხოვრებლებთან, მათი ამოძრავება და დაინტერესება ამ მეტად სიმპატიურ საქმით, რაიც თავდებია იმის, რომ მომავალში საქმე წინ წაიწევს, საბოლოოთ დაგვირგვინდება და მით აღსრულდება დიდი ხნის სურვილი ამ კუთხის მშრომელ ხალხისა.

სააღმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მალალაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი.

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომების თავმჯდომარეთ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ რამოდენიმეჯერ დაგზავნილი იყო თანახმად საქართველოს უმაღლესი მთავრობის ცირკულიარული წერილისა განმარტებანი იმის შესახებ, თუ რა ენაზე უნდა წარმოებდეს მიმოწერა საქართველოს რესპუბლიკის ორგანოებთან და რა გარემოება უნდა იქმნას მიღებული მხედველობაში თანამშრომლის საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნის დროს. კომისარიატის ცირკულიარებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თანამდებობის პირის საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნის დროს, მხედველობაში ყოფილიყო მიღებული სახელმწიფო, ქართული ენის ცოდნა (ცირკ. ყველა საქალ. და სამაზრ. აღმასკ. „მოამბე“ № 13; ცირკ. ყვ. საქალ., სამ. და ავტ. ერთ. აღმასკ. 20 მაისი 1922 წ. „მოამბე“ № 35 და სხვ.). მაგრამ, როგორც კომისარიატში მიღებული მომართვებიდან და მიმოწერიდან სჩანს, დანიშვნა თანამშრომლებისა, ხდება ზოგჯერ სრულიად იმის და მიუხედავად იცის თუ არა უკანასკნელმა სახელმწიფო ენა, რის გამო მიმოწერა და საქმის წარმოება წარმოებს ადგილობრივ მცხოვრებთათვის გაუგებარ ენაზე. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი აღმასკომი ოქმს, მოხსენებას ან მომართვას სრულიად უმიზეზოდ გზავნის არა სახელმწიფო ენაზე, რაც განსაკუთრებით დაუშვებლად უნდა იქმნეს მიჩნეული.

აღნიშნულის გამო კვლავ წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1) თანახმად ს. ს. ს. რ. კონსტიტუციისა (მუხ. 6) საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა.

2) საქმის წარმოება და მიმოწერა საქართველოს რესპუბლიკაში გარდა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებისა და ს.-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე.

3) ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის დიდ უმეტესობას შეადგენენ არა ქართველნი, მიმოწერა უნდა სწარმოებდეს უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.

4) ამ დადგენილების დამრღვეველნი პასუხისგებაში იქმნებიან მიცემულნი.

5) ამ ცირკულიარის ცხოვრებაში გატარების პასუხისმგებლობა ეკისრება აღმასკომის თავმჯდომარეს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი.
საინს.-საინფ. განყოფილების გამგე:
გ. ანდრიაძე.

დადგენილება № 23

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოსი.

პენსიის და აგრეთვე დაზღვევის დამატებითი სახეთა და უმუშევრებისათვის დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ.

შრომის ინვალიდთა და მშრომელთა იმ ოჯახების წევრთათვის, რომლებმაც დაჰკარგეს მარჩენალი და აგრეთვე დამატებითი სახეთა (მოსავლელად, საკვებად და დასასაფლავებლად) და უმუშევრებისათვის დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის და სრ. რუსეთის პროფ. კავშ. ცენტ. საბჭოს ა. კ. ბიუროს ა. წ. 8 მაისის თარიღით გამოქვეყნებულ დადგენილება № 48-ის თანახმად, ა. კ. შრომის სახ. კომ. საქ. რწმუნებულის სამმართველო ადგენს:

1. შრომის ინვალიდთა და დაზღვეულის—მარჩენალის გარდაცვალების ან უგზოუკვლოდ დაკარგვის შემთხვევებში მისი ოჯახის წევრთა უმუშევართა და აგრეთვე დამატებითი სახეთათვის დახმარებათა ნორმების გამოსაანგარიშებლად, ა. წ. ივლისისათვის საქ. ს. ს. რ. მთელ ტერიტორიაზე დაწესდეს 8 მან. და 21 კ. (რვა მანეთი და ოცდა ერთი კაპ.) საქონლის მანეთებში რაც შეადგენს ა. კ. ფულის ნიშნებით 15.191.045 (ხუთმეტ მილიონს, ას ოთხმოცდა თერთმეტი ათას ორმოცდა ხუთ) მანეთს.

2. დამზღვევ კასებს ადგილობრივად ევალებათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაზღვეულთათვის დახმარებათა გამოსაანგარიშებლად იხელმძღვანელოს ზემოთაღნიშნული ხელფასით (15.191.045 მ.) როგორც მაქსიმალური, ამის შესახებ არსებულ ფორმებისა და კატეგორიების მიხედვით.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.
სოც. დაზღვ. სამმართველოს მდივანი
ს. მგ. ს. კილაძე

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო დადგენილება № 14.

27 ივნისი 1923 წელი. ქ. ტფილისი.

ტფილისში და მის მიდამოებში სამგზავრო და საბარგო ავტომობილებისა და მოტოციკლეტების მოძრაობის მოსაწესრიგებლად ტფილისის აღმასკომი ადგენს.

§ 1. ტფილისის და მის მიდამოებში სამგზავრო და საბარგო ავტომობილებით და მოტოციკლეტებით მიმოსვლა შესაძლებელია მხოლოდ ტფილისის აღმასკომიდან ნებართვის მიღებისა და მიმოსვლის საშვალებით დადგენილ წესით შემოწმების შემდეგ.

§ 2. ავტომობილებით მიმოსვლა შეიძლება.

ა) საკუთარ საჭიროებისათვის და მსუბუქ ავტომობილებით ტვირთთა ზიდვის მიზნით ყველა ქუჩებზე.

ბ) ქალაქში სიმძიმის გადასაზიდავათ საბარგო ავტომობილებით ყველა ქუჩებზე გარდა რუსთაველისა, პლეხანოვის პრ., სოლოლაკისა, საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილისა) და მალაკნის ქუჩებისა.

გ) ავტომობილ—ომნიბუსებისათვის იმ გზებზე, რომლების შესახებ ყოველ კერძო შემთხვევაში იქნება აღმასკომის დამტკიცება.

§ 3. სამგზავრო და საბარგო ყველა ავტომობილებსა და მოტოციკლეტებს, რომლებიც ტფილისში და მის მიდამოებში მიმოდიან, უსათუოთ უნდა ჰქონდეთ ორი სანომრო ნიშანი, ტფილისის აღმასკომის მიერ გაცემული. სანომრო ნიშანი ავტომობილებსა და მოტოციკლეტებს უნდა ჰქონდეთ მიმაგრებული წინ და უკან, გამოსაჩენ ადგილზე.

§ 4. გაცემული ნიშანი ნამდვილია მხოლოდ გასინჯულ ავტომობილებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ნიშანი ან სათანადო მოწმობა დაიკარგა, ტფილისის აღმასკომი იძლევა დუბლიკატს დასამზადებისათვის საჭირო ღირებულების გადახდის შემდეგ. ავტომობილების ხელ-ახლა გასინჯვა და გამოცდა ხდება სანომრო ნიშნების მოქმედების ვადის გათავებისას ამ უკანასკნელთა გამოცვლის დროს.

§ 5. სამგზავრო და საბარგო ავტომობილზე და მოტოციკლეტზე საჭიროა ენთოს წინ უსათუოდ ერთი მაშუქი, უკანა მაშუქის ანთება კი არ არის სავალდებულო. მაშუქებში სინათლის რამოდენიმედ გასადიდებლად დასაშვებია პროჟექტორ-რეფლექტორები, მაგრამ აკრძალულია ქალაქის ფარგლებში ისეთ მოწყობილებათა ხმარება, რომელნიც შემოხვედრილ ადამიანსა და ცხოველებს აბრმავებენ. მძლავრ სინათლიან მაშუქებს უნდა ჰქონდეთ ქრქალი ან წებადი ცარცით გაჯოგზილი მინები.

§ 6. მაშუქები მადნეულ ზეთით, აცეტილენით ან ელექტრონით უნდა იყოს განათებული და შეღამებისას უნდა ინთებოდეს.

§ 7. სამუშაოდ გამოსულ ავტომობილს თან უნდა ჰქონდეს,—საყვირი, სიგნალის მისაცემად, სიარულის ნებართვა და ტფილისის აღმასკომის მიერ გაცემული საკუთარი მოწმობა-ნებართვა შოფერის სახელზე ავტომობილის მართვის შესახებ.

§ 8. სამგზავრო და საბარგო ავტომობილების და მოტოციკლეტების მმართველებმა თავიანთი მანქანა არ უნდა დასტოვონ უთვალყუროდ, როდესაც ისინი მუშაობენ, თუ მათ დასაკეტი მოწყობილებები არა აქვთ. მოძრაობის დროს კი მანქანების ზემოხსენებული მმართველები ვალდებულნი არიან იარონ მხოლოდ მარჯვენა მხრით, კუთხეები არ გადასჭრან და სიჩქარეს უკლონ ეზოდან გამოსვლის დროს, ხიდეებზე, ჯვარედინებზე, მოსახვევებში, ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადასვლის დროს და იმ ადგილებში, სადაც ხალხი ბლომად იყრის თავს.

§ 9. სამგზავრო ავტომობილის მოძრაობა არ უნდა აღემატებოდეს 15 ვერსს საათში, ხოლო საბარგო ავტომობილისა 10 ვერსს საათში.

§ 10. სამგზავრო და საბარგო ავტომობილებისა და მოტოციკლეტების მგზავრობის დროს მმართველები ვალდებულნი არიან თავის დროზე გააფრთხილონ გზაზე გამვლელნი შესაფერის სიგნალებით. ასეთივე გაფრთხილება სავალდებულოა დასახელებულ ადგილებში შესვლის დროს და თვით შიგნით ამ ადგილებშიც, ჯვარადინებზე, მოსახვევებზე, ამაღლებულ ადგილების წინ, აგრეთვე ჭიშკრებიდან გამოსვლისას, ტრამვაის გასაჩერებელ ადგილებთან გავლის დროს. მოძრაობის შენელებისას, გაჩერებისა და მოხვევის დროს ბგერითი სიგნალებთან ერთად სავალდებულოა სიგნალების მიცემა, გაფრთხილება იმათი, ვინც უკან მოდის, გვერდზე მარჯვენა ან მარცხენა ხელის აწევით იმის და მიხედვით თუ რომელ მხარეზე ზის მანქანის მმართველი.

§ 11. ქალაქში შეხვევის დროს საჭიროა ყოველთვის ქუჩის მარჯვენა მხარეზე გასვლა. მარცხნით შეხვევის დროს საჭიროა დიდი რკალის გაკეთება, მაგრამ ისე, რომ იგი მარცხნით ქუჩის შუაგულს არ უნდა გადასცილდეს, რომ მარცხენა კუთხე წინ შემოხვედრილ ეტლებისათვის თავისუფალი დარჩეს. შეხვევა მარჯვნივ უნდა ხდებოდეს პატარა რკალით და ავტომობილი ქუჩის შუაგულს იქით არ უნდა გადადიოდეს.

§ 12. მარცხნით შეხვევამდე შოფერმა უსათუოდ უკან უნდა მოიხედოს და სიგნალი მისცეს საყვირით და აწეული ხელით, რომ ის, ვინც უკან მოდის არ დაეტაკოს.

§ 13. თუ ჯვარედინზე ორი ავტომობილი ხვდება ერთმანეთს, ამ შემთხვევაში ავტომობილი, რომელიც მარცხნით მოდის, გზას უთმობს მარჯვენა მხრიდან მომავალ ავტომობილს.

§ 14. უნდა განსაკუთრებული ყურადღება იქმნას მიქცეული იმაზე, რომ ქუჩის ყოველ ჯვარედინზე ან დაბრკოლებების დროს შოფერმა გაზის გამოშვებით ან წლწის გადაყენებით დროზე შეანელოს ავტომობილის სვლა.

§ 15. იმ შემთხვევაში, თუ სანიშნული ხელსაწყო გაფუჭდა გზაში და შეუძლებელია ღამით მაშუქების ანთება, მანქანათა მმართველნი ვალდებულნი არიან იმოძრაონ სრულიად ნელად, ჩვეულებრივი ეტლის მოძრაობის საშუალო სიჩქარეზე გადაუმეტებლად.

§ 16. სიარული ქალაქში სამგზავრო და საბარგო ავტომობილებზე, რომელნიც თავისუფლად უშვებენ გაზს, ე. ი. რომელთაც ღია მაყური აქვთ, უსათუოდ აკრძალულია.

§ 17. სამგზავრო და საქონლის ავტომობილებისა და მოტოციკლეტების წასაყვანად არავითარ შემთხვევაში მთვრალები არ უნდა იქმნენ დაშვებულნი—ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებენ არა მარტო მმართველნი ავტომობილებისა, არამედ მანქანათა პატრონებიც, რომელთაც აშკარა მთვრალებს მისცეს მანქანის მმართველის ნება.

§ 18. თუ სამგზავრო ან საბარგო ავტომობილებისა და მოტოციკლეტების გავლა იქნება მიზეზი რაიმე უბედური შემთხვევისა, თუნდ უმნიშვნელო შედეგებით (მაგ. მეორე ეკიპაჟის დაცემა, ცხენის შეშინება და სხვა), ამ შემთხვევაში ამ მანქანის მგზავრნი ვალდებულნი არიან შეჩერდნენ და დაშავებულთ დახმარება აღმოუჩინონ.

§ 19. სამგზავრო და საბარგო ავტომობილებისა და მოტოციკლეტების მმართვა მხოლოდ იმ პირთ შეუძლიათ, რომელსაც ამ საგანზე აქვს შესაფერი მოწმობა, ქალაქის აღმასკომის მიერ გაცემული.

შენიშვნა: კერძო და სამოქალაქო მანქანა მმართველებს მანქანათა მართვის შესახებ ნებართვას აძლევს ტფილისის აღმასკომი, ხოლო სამხედრო უწყების მანქანათა მმართველებს ინჟინერთა დისტანციის უფროსის სამმართველო.

§ 20. თუ აღმოჩნდა, რომ იმ § 19 მოთხოვნის შეუსრულებლობა მოხდა თვით მოძრავ ეკიპაჟებში მჯდომ მგზავრთა თანხმობით ან ბრძანებით, ამ შემთხვევაში პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი არა მარტო მანქანათა მმართველნი, არამედ სამგზავრო თუ საბარგო ავტომობილებში მყოფნიც.

§ 21 ტფილისსა და მის მიდამოებში მმოძრავი ავტომობილები ორ კატეგორიათ არიან დაყოფილნი—პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ლუწ ნომრებიანები, სახელმწიფო და კერძო პირების კუთვნილებანი, ხოლო მეორე კატეგორიას კენტნომრებიანები—სამხედრო უწყების მანქანები.

§ 22. აღნიშნულ დადგენილების დამრღვევნი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ადმინისტრატიული წესით, რისთვისაც შესაფერი სასჯელის დასადებად სამხედრო უწყების სამგზავრო და საბარგო ავტომობილებისა და მოტოციკლეტების მმართველნი უნდა იქმნან წარმოდგენილნი ქალაქის კომენდანტთან, ხოლო სახელმწიფო და კერძო პირთა ავტომობილების მმართველნი მილიციის უფროსთან.

§ 23. მილიციის მოხელეთა ყოველი მოთხოვნა შეჩერების შესახებ (ხელის აწევით, სტვენით და სხვა საშუალებით, რომელიც ადვილად გაიგება) უნდა შესრულებულ იქმნეს დაუყოვნებლივ და აუცილებლად.

§ 24. ქალაქის მილიციის მოხელეთ ევალებათ თვალყური ადევნონ ტფილისის აღმასკომის მიერ მიღებულ დებულებათა შესრულებას და ყოველი შემჩნეული შემთხვევა მათი დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენოს თავიანთ უფროსს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

§ 25. ამ დადგენილების დარღვევისათვის გადაწყვეტილია ჯარიმა 100 მანეთი ჩერვონეცით ან საპყრობილეში დამწყვდევა ორი თვით თანახმად სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტის დეკრეტისა 4 მაისიდან 1923 წ.

შენიშვნა: ადმინისტრატიულად დატუქსულ პირთ ეს დატუქსვა ვერ გაანთავისუფლებს სასამართლოს სასჯელისაგან, თუ ამ პირთ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს.

§ 26. აღნიშნული დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა საბჭოთა ბეჭდვითი ორგანოებში.

აღმასკომის თავმჯდომარე სუხიშვილი
სამმართველოს განყოფილების გამგე თაქთაქიშვილი.
მდივანი თიკანაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ოფედი ქავთარაძეს საჩქაროდ დააბრუნოს კარლ-მარქსის „კაპიტალი“ ბორხარდტის გადმოცემაში,

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო—საპროპ. განყოფ. გამგ. მაგიერ პენიაკოვი.

— მე-4-ე და მე-2-ე რაიონის პოლიტიკურ წრეების მუშაობის გამოსარკვევად ტფილისის კომიტეტი მობილიზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

— მე-4-ე რაიონისთვის: 1) ოკუჯავა მ., 2) სოლოგიანი არუტ., 3) თუმანოვი ალექს. 4) გრიცენკო, 5) რახმან, 6) ალავერდიანი, 7) კოგანი, 8) ხანჩიანი, 9) მიხაილოვი. (ა. კ. საოლქო კომიტ.), 10) პენიაკოვი, 11) პადერინი, 12) სუროვცევი, 13) თალაკვაძე ის. 14) ბროდსკი, 15) გინზბურგი.

— მე-2-ე რაიონისთვის 1) ოკუჯავა კოლია, 2) პენიაკოვი, 3) ფროლოვი, 4) არუსტამოვი, 5) დუდუჩავა.

ყველა დასახელებული ამხანაგები ვალდებული არიან დაძახებისთანავე გამოცხადდენ სათანადო რაიკომში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის 1-ლი და 2-რე რაიონის უჯრედების მუშაობის გამოსარკვევად მობილიზაციის წესით მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: 1) ელისაბედაშვილი, 2) მისკინი, 3) გოგიშვილი, 4) ქორიძე, 5) გენკინი, 6) მიხაილოვი, 7) პენიაკოვი, 8) კარპი, 9) თუიშვილი, 10) რუხაძე, 11) მიქელაძე, 12) ვაწაძე, 13) გურგენიძე, 14) ივანიანი, 15) ისმაილოვი, 16) ალავერდიანი, 17) პოლისი, 18) ვანციანი არტ., 19) ნემიჩინოვი, 20) ავეტიკოვი, 21) მაშკევიჩი ზაქარია, 22) ბაშინჯაგიანი, 23) ვულფოვიჩი, 24) დეშევოი, 25) მორჩილაძე, 26) ათარბეკოვი, 27) ბერია, 28) ადამიძე, 29) ოგოროდნიკოვი, 80) ღოღობერიძე, 31) საბაშვილი მიხ. 32) ლევშიცი, 33) თარხნოვა, 34) ნოვიკოვი, 35) კარახანიანი, 36) კასიანი, 37) სურხატიანი, 38) ბაგიროვი, 39) ბუნიატზადე, 40) ავაქოვი, 41) ოკუჯავა ნ., 42) არნაუტოვი, 43) მელიქსეტოვი, 44) ამო, 45) სეროპიანი, 46) ეგიკოვი, 47) სტეპანიანი, 48) კარტველიანი, 49) რახმანი, 50) კოსტანიანი, 51) ადამიანი, 52) მაქსიმოვი, 53) სააკიანი აშოტ, 54) სოსიანი, 55) ფიალკოვსკი, 56) ხუტულაშვილი გ, 57) ხუტულაშვილი დ. 58) დანდუროვი, 59) ლობჟანიძე, 60) ტერ-არუთინოვი არშაკ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4 რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში ა. | წ. 7 ივლისამდი ერთიანი პარტიული ბილეთების მისაღებად.

1) სტეპანოვი მიხეილ, 2) ცხომელიძე ფილიპე, 3) ნადირაძე ბესარიონ, 4) ჯიბლაძე ლავრენტი, 5) ცატუროვი არამ, 6) ფეტისოვი პანტელეი, 7) ტერ-ტეროვი ივანე, 8) ზვიაგინცევი აფანასი, 9) მურადოვი სურენი, 10) მუსიევი ტიგრანი, 11) მიხაილოვა დარია, 12) კოჩინევი პავლე, 13) მჭედლიძე ნინა. იმ ამხანაგების პარტბილეთები, რომელნიც აღნიშნულ დროზე არ გამოცხადდებიან, გადაგზავნილი იქნება საქართველოს კომპარტიის ცეკაში.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.
სააღრიცხვო-სტატისტ. განყოფილ. გამგის მაგიერ ისაკოვი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება ა. | წ. 5 ივლისისათვის, საღამოს 5 საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში (მუშათა სასახლე) იწვევს

ყველა რაიონების ქალთა ორგანიზატორების საერთო-საქალაქო კრებას

დღის წესრიგი:
1. მოხსენება დედობისა და ბავშობის დაცვის სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ.
2. მიმდინარე საქმეები.

საკითხების მნიშვნელობის გამო ქალთა ყველა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

მოწვეული არიან ქალთა დელეგატები და მუშა ქალები.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილ. გამგე ს. დალნაია.

— ც. კ. სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს გამოცხადდენ სამი-დღის განმავლობაში პირადი მოსალაპარაკებლათ შემდეგ ამხანაგები: 1. მიცელიანი სტეფანე, 2. გაილეკ ბეგრაბანი, 3. პლატონ შუშამია, 4. ალექსანდრე ზახაროვი.

ც. კ. სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქ.-განყ. გამგე: ა. ლიცინოვი.

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ტფილისის კომიტეტი სასტიკ საყვედურს უცხადებს და უკანასკნელ გაფრთხილებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს უჯრედებისა და პოლიტ წრეების მუშაობის სისტემატიური შეფერხებისათვის. ამხ. რაბინოვიჩს, ბობრიშევს, ბელოვს, აზნაურიანს, გორდელაძეს, გვაზავას, ბელენკის, ცინცაძეს, დ. მეტონიძეს, ნ. კუზნეცოვას, აკოპოვს რ. და ლეკვეიშვილს.

საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი.

განცხადებები

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 182.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—3

ამიერ-კავკასიის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის

ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 6 ივლისს (პარასკევს) **დღის 12 საათზე**

ბათომში დანიშნულია

კონკურენცია

(საჯარო ვაჭრობა) **ბათომის საბაჟოს სახელმწიფო შენობების სარემონტო მუშაობაზე, ბათომის საბაჟოს ორი გემთა სადგომის კაპიტალურ შეკეთებაზე და ხიმონჯების გაყვანაზე.**

საჯარო ვაჭრობაზე დასაშვებად საჭიროა განცხადების შეტანა დახურულ კონვერტებში.

კონკურენციაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ პირობებს და მუშაობის სათანადო რაოდენობას: ა) ტფილისში, ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოში (ანდრეევის ქუჩა № 93), ყოველ-დღე 2-დან 4 ივლისამდე, დღის 2 საათამდე, ბ) ბათომში, საბაჟოს კანცელარიაში (ნაბერეჟნაია) 3-დან 5 ივლისამდე დღის 2 საათამდე.

კონკურენცია ინიშნება ყველა სამუშაოზე 12 მილიარდი მანეთის (ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით) რაოდენობით.

განცხადებებს თან უნდა ახლდეს ქვითარები. ამიერ-კავკასიის საბაჟოს სამმართველოს ან ბათომის საბაჟოს კასაში განცხადებული თანხის 10 პროცენტის შეტანის შესახებ. განცხადება გირის შეტანის გარეშე არ განიხილება.

(კრ. 486—4—1)

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი

ხაპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს.

კვირაობით 9—2 ს. დღის

ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—1

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენის დარბაზით**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

სამედიცინო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღ-

ნელობით. ტფილისი, ყორდანოვის ქ. № 20. (501—25—12)

დაჰკარგე დროებითი პარტიული ბილეთი № 991. ანტ. სტეფანეს ძე აუშტროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (916—1—1)

დაჰკარგე ამხ. კამოს სახელობის მე-5 სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკის სახლის წიგნაკი 1923 წ. ჩაითვალოს გაუქმებულად. (915—1—1)

დაჰკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი №4567. კონსტანტინე შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (917—1—1)

დაჰკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი № 778. ვახტანგ მატ შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (918—1—1)

დაჰკარგე თვითმშრომელთა ხელოსანთა კავშირი „სამტრუდ“ („самтруд“) წიგნაკი № 29. პატენტი № 11010 სარეგისტრაციო ქაღალდი სამხედრო უწყებიდან ბაგრატ ბაღდასაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (912—1—1)

ნიჟნი-ნოვგოროდის

ბაზრობა

გაიხსნება 1923 წლის 1-ლ აგვისტოს

ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს იწვევენ მიიღონ ფართე მონაწილეობა ამ ბაზრობაში.

ყველა ცნობების მიღება შეიძლება თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟასთან არსებულ **ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის ხელის შემწყობ ამიერ-კავკასიის ბიუროში** სოლოლაკის ქ. № 7.

ტელეფონები: 4—60 და 9—33.

ცნობების მიღება შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

კრ. (485—3—2)

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, [illegible] ქუჩა № 4.